

საბავშვო ჟურნალი





ჟურნალს უნდა კითხულობდე არა მარტო შენთვის, არამედ სხვებისთვისაც. ის, რასაც წაიკითხავ ჟურნალში, უნდა უამბო იმ ბავშვებს, რომლებსაც არა აქვთ საშუალება შეიძინონ და წაიკითხონ ჟურნალი. ზოგჯერ შეიძლება თავი მოუყარო მათ ერთად და წაუკითხო საინტერესო რაიმე ამა თუ იმ ნომრიდან. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. პიონერი ახალი ყოფისთვის თავის ოჯახშიაც უნდა იბრძოდეს. და, აი, ჟურნალი „პიონერი“, განსაკუთრებით სოფლად, საუკეთესო დამხმარე ძალაა ბავშვისათვის ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის ბრძოლაში. ოჯახში, დასვენების დროს, ხმამაღლა უნდა წაუკითხო დედას ან მამას გაზეთი და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციო პოლიტიკურ შემთხვევებსა და მეცნიერულ მიხვევებს. საჭიროა აგრეთვე პიონერ-მოძრაობის საკითხებზე მოთავსებული წერილების წაკითხვაც. პიონერთა ამგვარი სისტემატიური მუშაობით შესაძლებელია დავაინტერესოთ მშობლები, რომ იმათ გამოიწერონ სხვა ჟურნალ-გაზეთებიც.

საჭიროა აგრეთვე, რომ გაზეთი და ჟურნალი წაიკითხო ხმამაღლა იქ, სადაც იკრიბებიან დიდები. ასეთი ადგილი კი არის კლუბი, ქაზ-სამკითხველო და სხვ. მაგრამ, რომ ასეთ დაწესებულებაში შესაფერისად ჩაატარო მუშაობა, საჭიროა წინასწარ მოემზადო თითონაც, უნდა შესძლო სათანადო პასუხის გაცემა ყველა კითხვაზე, რომელიც მსმენელებს დაებადება კითხვის დროს.

დაბოლოს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ამოცანების შესრულებას, რომელსაც იძლევა ჟურნალ-გაზეთი თვითნებურ ნომერში. როდესაც გაცნობი ნომერს, კარგი იქნება, რომ რვეულში ჩაიწერდე ყველა იმ წერილის მოკლე შინაარსს, რომელიც მოთავსებულია ნომერში. აღნიშნავ აგრეთვე საყურადღებო გამოცდილებებს. როდესაც მიხვალ კოლექტივის ან რგოლის კრებაზე, წინადადებას შეიტან, რომ ამხანაგებიც გაეცნონ ყველაფერ ამას და გაატარონ ცხოვრებაში. მაგალითად, ჟურნალ-გაზეთში წამოყენებულია საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა პიონერთა განტვირთვა ბევრი სამუშაოსაგან. როდესაც ამ შენიშვნას წაიკითხავს პიონერი, მაშინ მან უნდა იფიქროს იმის შესახებ, არიან თუ არა მის კოლექტივში, რგოლში, სამუშაოთი დატვირთული პიონერები და ამის შესახებ უნდა მოელოპარაკოს დანატრინ პიონერებსა და წინამძღოლს.

უკანასკნელ ხანებში მრავალი პიონერი ბევრს სწერს იმის შესახებ, რომ მათთვის მოსაწყენია კოლექტივში ყოფნა. მათ გული აუცრუვდათ კოლექტივში ერთფეროვან მუშაობაზე. არც ისე ცოტა პიონერი გავიდა პიონერ-ორგანიზაციიდან, მაშინ, როდესაც თვით ბავშვებს არ შეუძლიათ გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, არ შეუძლიათ თვითონ გამოაცოცხლონ მუშაობა. საკმარისია გულდასმით ყური დაუგდოთ ისეთ წინამძღოლს, როგორც არის ჟურნალი ან გაზეთი, და მაშინ სამუშაოც გამოჩნდება, კარგადაც და მხიარულადაც წარიმართება საქმე.

აი, ამის მიხვევა შეიძლება, თუკი წაიკითხავ გაზეთს და თვითონაც იმუშაებ და ითანამშრომლებ მასში.

საბავშვო ჟურნალში არის აგრეთვე ისეთი სამუშაოც, რომელიც უნდა ჩაატაროს არა თვითნებურმა მკითხველმა ცალკე, არამედ მთლიანად კოლექტივმა, ან სკოლამ.


მის შესახებ ჩვენ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

| | | | |
|---|----|---|----------|
| 1. როგორი მუშაობა უნდა ვაწარმოოთ სოფლად — შანის | 2 | 11. პიონერთა ბანაკი — შ. გორგაძის | 15 |
| 2. ჩვენ გავიმარჯვებთ — შ. შანიძის | 3 | 12. როგორ ცხოვრობენ ჩინელი ბავშვები | 16 |
| 3. ჩვენი ბელადები | 5 | 13. დავებნაროთ ჩინეთის მუშათა და გლეხთა ბავშვებს — შანის | 18 |
| 4. ზაფხულის ზეიმი — ლექსი გ. ქუჩიშვილის | 6 | 14. როგორ გვესხმიან თავს — ვ. ლ. | 19 |
| 5. პიონერები სოფლად აგრონომი დანელიასი | 7 | 15. ნავთი — კ. ლეოსი | 20 |
| 6. როგორ ჩავატარებთ ბავშთა კვირეული — პავლე ბლიაძის | 9 | 16. როგორ უნდა მოიქცეს პიონერი, თუ მას სურს ჯანმრთელი იყოს — ექ. მღებრიშვილის | 22 |
| 7. გაეცი მამა. — ნ. ტიხონოვის | 10 | 17. რადიო | 23 |
| 8. ჩინელ ბავშვებს — ლექსი — ე. პოლუმორდვინოვის | 12 | 18. მიიჩვიეთ ფრინველები — შანის | 24 |
| 9. რა სტქვა კომკავშირის მეორე კონფერენციამ პიონერ-ორგანიზაციაზე | 13 | 19. საუბარი ჩვენი ჟურნალის მკითხველებთან | } კანზე. |
| 10. სამი თაობა — შელის | 14 | 20. კინო | |
| | | 21. გამოიცანი | |

329.153 (05)

კ-47.

მუშათა კლასის საქმიანობის იუვე მზად



პ ი ო ნ ე ზ ი

1927

15 ივნისი

განათლების სასკოლო კომისიის სტეფანოპოლის ალბრტის მთავარმართველთმის და საცდართელთს მ. კ. თ. ცენტრალური მიერთს (საფ. ა. ლ. კომპაგვირის ცუკასთან) აქრნალი ბავშვისათვის

წელიწადი II
№ 11



გაუმარჯოს ს. ს. რ. კ. და ჩინეთის პიონერთა მტკიცე კავშირს.

როგორი გუზაობა უნდა ვაწარმოოთ სოფლად.

ზაფხული დადგა და დროა გავიხსენოთ, რომ ზაფხულში განსაკუთრებით დიდი მუშაობის ჩატარება შეუძლიათ ქალაქის პიონერებს სოფლად, ვინაიდან ქალაქის მრავალი პიონერი ამ დროს სოფლად არის ბანაკად.

უნდა ვეცადოთ დაფუკავშირდეთ გლეხთა ბავშვებს და ვუჩვენოთ მათ, თუ როგორ მიმდინარეობს ცხოვრება ბანაკში, როგორ მეცადინეობენ პიონერები, ვესაუბროთ მათ, მოვაწყოთ შეერთებული მეცადინეობა, თამაშობანი, ვასწავლოთ ახალი სიმღერები. ზოგიერთ უფროს პიონერს წასვლაც კი შეუძლია გლეხის ბავშვებთან, რომ მათ საუბარი გაუმართოს კოცონთან. ასეთი გზით ქალაქის პიონერები ბევრს გაიგებენ გლეხთა ცხოვრების შესახებ, სოფლელი პიონერები კი ქალაქის პიონერების შესახებ.

აგრეთვე საჭიროა, რომ ბანაკში მოვაწყოთ მუდმივი სამკითხველო, საიდანაც წიგნებს ვათხოვებთ გლეხთა ბავშვებს.

მაგრამ სოფლის ბავშვებთან მუშაობის დროს არ უნდა დაგვაფიწყდეს მათი ასაკის თავისებურებაც.

უფროსი და უმცროსი ასაკის ბავშვებთან სხვადასხვა გვარი მიდგომაა საჭირო.

მეცადინეობის დრო ხელსაყრელი და მოსახერხებელი უნდა იყოს სოფლის ბავშვებისათვის: მათთან მეცადინეობის მოწყობა უფრო უკეთესია სადღესასწაულო დღეებში, ან საღამოობით, მას შემდეგ, როცა საქონელს მორეკავენ დასაბინავებლად.

ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ქალაქის პიონერების ბანაკი დაეხმაროს როგორც მთელ სოფელს, აგრეთვე გლეხთა ცალკე მეურნეობას.

რით და როგორ შეუძლია პიონერს დაეხმაროს გლეხთა მეურნეობას? — მას შეუძლია დაეხმაროს უღარიბეს მეურნე — გლეხს და წითელარმიელთა ოჯახს. ზაფხულის განმავლობაში ღარიბთა ოჯახობისათვის დახმარება განსაკუთრებით საჭიროა.

აიღეთ, თუგინდ, საშინაო მეურნეობა და ოჯახობა. პიონერებს შეუძლიათ უთვალყურონ პატარებს,

როდესაც მოზრდილები მიდიან მინდვრად, პიონერებს შეუძლიათ თვალყური ადევნონ ძროხებს, შინაურ ფრინველებს, შეაკეთონ ლობე, დაასუფთაონ ოთახები, ბოსტანშიაც იქნება სამუშაო: წყლის წლის დასხმა მცენარეულობაზე, სარების დასობა, კვლების გაკეთება.

ბევრი სამუშაო იქნება ქობ-სამკითხველოშიაც და სოფლის საბჭოში, კოოპერატივში და სკოლაში.

საჭიროა მტკიცე კავშირის დაჭერა ადგილობრივ მასწავლებელთან. მასთან ერთად ბევრი რამის გაკეთება შეიძლება სოფლის სასარგებლოდ და ბევრი რამის სწავლაც მისგან. მისი დახმარებით შეიძლება გლეხთა კუთხის გაკეთება. ამ კუთხეში უნდა მოგროვდეს ყველა მასალა, მოდელი და სურათი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ცხოვრობს სოფელი. ამავე კუთხეში უნდა იყოს ნაჩვენები, თუ რა მუშაობას ატარებენ ქალაქის პიონერები სოფლად.

პიონერთა ბანაკმა ხელი უნდა შეუწყოს სოფლისა და ქალაქის დაკავშირებას.

კარგია აგრეთვე, რომ პიონერებმა მოახდინონ სოფლისა დაწვრილებითი გამოკვლევა კოლექტივის საბჭოს მიერ სპეციალურად შედგენილი კითხვების მიხედვით.

დახმარება სოფელს — ეს ჩვენი ილიჩის, — ლენინის, ერთ-ერთი ძირითადი ანდერძია. სოფლად მუშაობას უდიდეს ყურადღებას უნდა აქცევდნ ქალაქის პიონერები, მაგრამ არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ მყვირალა ფრაზებით, დოლის ხმაურით გლეხთა ნდობას ვერ დავიმსახურებთ. მხოლოდ საქმე, მხოლოდ ფაქტი აძლიერებს და ამტკიცებს გლეხთა ყურადღებას და ნდობას პიონერ-ორგანიზაციისადმი. მხოლოდ საქმით განხორციელდება და არა სიტყვებით ამხ. ლენინის ანდერძი — სოფლისა და ქალაქის დაკავშირება.

ქალაქის პიონერები თავისი მუშაობით სოფლად გვერდში უნდა ამოუდგენ სოფლის პიონერებს, დაეხმარონ და გამოაცოცხლონ მათი მუშაობა.

შანი

პიონერებო, მოგვფერაით, თუ რა მუშაობას ატარებთ ზაფხულის განმავლობაში.



ჩვენს შაპრიმპოტპოთ

(სამოქალაქო ომის ერთი მრავალ ამბავთაგანი).

I

აგე რამოდენიმე დღეა, რაც ერთ პატარა ქალაქს რაღაც არაჩვეულებრივი გამოცოცხლება ეტყობა. ზოგიერთი გამვლელის სახე მწუხარებას გამოსთქვამს, ზოგიერთის - სინანულს, ზოგის კი სიხარულს.

ერთ-ერთ ეზოში სათონის თავზე ზის ქონძებში გახვეული ორი ბავშვი.

— პეტია, წავიდეთ ბოლშევიკებთან, ჰა? —

ეკითხება ერთი.

— მერე რა არის იქ სანახავი? — უპასუხებს პეტია.

— მე უნდა წავიდე იმიტომ, რომ ჩემი ძმა ბოლშევიკია.

— კარგი, თუ გინდა, წავიდეთ, — დაეთანხმა პეტია. — მაგრამ მოიცა: დავდოთ პირობა, რომ არც ერთმა ჩვენთაგანმა არ გადაუხვიოს თავის სიტყვას და დედის კაბას არ მოებლაუტოს.

— მაშ ასე, ხვალ შევხვდეთ ერთმანეთს ბოგირთან და იქიდან კი პირდაპირ რკინის გზისკენ გავსწიოთ.

II

ნელ-ნელა მილოდავს ორთქლმავალი, თუმცა ძალიან არ არის დატვირთული. ცაზე არსად არ ჩანს ღრუბელი, მაგრამ ჭექა-ქუხილი მაინც ისმის: სადღაც ბრძოლაა.

ერთ-ერთი რონოდის სახურავზე სხედან პეტია და ვასია, რომელნიც ნაღვლობენ მიტოვებულ სახლზე.

აგე მეოთხე დღეა რაც მგზავრობენ და მხოლოდ რამოდენიმე ათეული ვერსი გაიარეს. ორთქლმავალი ქშენით და ხველებით დინჯად მიუახლოვდა დიდი ქალაქის სადგურს და ისე უეცრად შეჩერდა, რომ ჩვენი ყმაწვილები კინალამ ძირს ჩამოაბრძანა.

ქალაქში ყველგან საომრად გამზადებული ჯარის ნაწილები სდგანან, მალლა აეროპლანი სრიალებს და თანდათან სულ ქვევით-ქვევით მოდის.

III

პეტია და ვასია საჭმელის ძებნის დროს შევიდნენ ერთ-ერთ ეზოში, სადაც წითელი ლაშქრის ერთი ნაწილი დაბანაკებულიყო. ვასია პარზე ნერწყვმო-სული უცქერის მოქაფქაფე ქვაბებს.

— ძიავ, ჰა, ძიავ, გვაჭამე პური, ძალიან გვშია...

წითელარმიელები კარგი ბიჭები არიან: დააძლეს ჩვენი ყმაწვილები.

— ჩვენ აქედან არსად არ წავალთ, ვიქნებით თქვენთან და ჩვენც ვიომებთ, — განაცხადა ბოლოს ვასიამ.

პატარა თათბირის შემდეგ წითელარმიელები დასთანხმდნენ მათ მიღებაზე.

და აი, აქედან იწყება პეტისა და ვასიას ახალი ცხოვრება.

IV

რკინის გზიდან რამოდენიმე საყენის დაშორებით გაშენებულია პატარა სოფელი. მას ჯერ ისევა



ერთ-ერთი რომლის სახურავზე სხედან პეტია და ვასია.

სძინავს. მხოლოდ ძროხებისა და ცხვრების კანტიკონტი ბლაგვილი არღვევს სიჩუმეს.

საღლაც შორსმტყორცნელი ზარბაზნების გრიალი გაისმ-ს.

ახლად დათოვილ ბილიკზე ხელი-ხელ გადახვეული მიდიან პეტია და ვასია.

დიდი ზომის ტანისამოსი წითელარმიელებისა სასაცილო შეხედულებას აძლევს მეგობრებს ორივეს თითო ბრაუნინგი აქვს წელში, ვასიას კი ბერდენაცა ჰყილია მხარზე, მკერდზე ვაზნები აქვს გადაჯვარედინებული.

უეცრად რკინისგზის ლიანდაგზე რახარუხით გაივლინა ჯავშნიანმა მატარებელმა.

ტრ-რ-რ-რახ ახ...

საღლაც ყუმბარამ იფეთქა და გონს მოიყვანა ჩაფიქრებული მეგობრები. ისინი გაექანენ თავისი ჯარის ნაწილისაკენ და ძლივს მიუსწრეს უკანასკნელ ჯაგვას. ჯარის ნაწილი უკან იხევდა, ცხენები დიდი სისწრაფით მიჰქროდნენ, თითქოს იგრძნეს მომავალი ხიფათიო.

აგერ ტყე, საიდანაც უწყალოდ აყრიდნენ ტყვიის სეტყვას.

ცხენები გაშმაგებით მიჰქროდნენ, მაგრამ ჯერ თხუთმეტიოდვე ვერსიც არ გაეგლოთ, რომ დაღლილობა შეეტყუათ. ჯარი ტყის გადაღმა შეჩერდა და თავის დასაცავად მოემზადა. მხოლოდ ახლა შეამჩნიეს, რომ მათ შორის აღარ იყო მათი სარდალი. შეუხვიეს რა სწრაფად დაქრილთ ქრილობები, პატარა თათბირის შემდეგ მიიღეს პეტიას და ვასიას წინადადება, რომ ეს უკანასკნელნი წასულიყვნენ სარდლის მოსაძებნად.

ნახევარი საათის შემდეგ პეტია და ვასია ნელის ნაბიჯით მიდიოდნენ თოვლიან გზაზე, ძონძებში გამოხვეულნი და მხარზე აბგავადაკიდებულნი.

V

ღამეა. მთვარე უხვად ანათებს ჩაძინებულ სოფელს. მხოლოდ ერთ ეზოში არა სძინავთ. ისმის ხმები და გარშონის გაუბედავი წრიპინი. აქ ღენერალ მ-ლის ჯარის ნაწილი ქეიფობს. მათ ხელშია წითელი სარდლის ბედ იღბალი.

ქუჩაში ორი ლანდი მოიპარება. მჭრელმა თვალმა შეამჩნია კლიტით გადარაზული ქოხი და ორი დარაჯი კარებთან.

— აქ არის...

მათ გადასწყვიტეს ეცადნათ და ქოხის ჩრდილში მიიმალენ.

და, აი, თავაშვებული მხიარულება „გამარჯვებულთა“ ნელ-ნელა დამთავრდა და ბოლოს სუყველაფერი ჩაჩუმდა.

მეგობრები მოხერხებულად შეიპარენ ქოხში. კედელზე გასაღები ეკიდა.

— სწორედ ეს იქნება... აილე...

ისინი სწრაფად გამოვიდნენ ქოხიდან, სხვადასხვა მხრიდან მოუარეს დარაჯებს და ერთსადამივე დროს ცხვირთან ბრაუნინგის ლულები მიუყენეს. ამ მოულოდნელი თავდასხმით თავზარდაცემულმა დარაჯებმა ფიცხლავ დაჰყარეს იარაღი.

ვასიამ გაჩხრიკა ორივე, ჩამოართვა იარაღი და უბრძანა პეტიას—მზად ჰქონოდა ბრაუნინგი, თვითონ კი ნაპოვნი გასაღებით გააღო კარები და შიგ შესკლას აპირებდა, მაგრამ ამ დროს თვით სარდალი გამოვიდა. ალბათ, იცნო ხმაზე.

დრო რომ არ დაეკარგათ, ისინი ფიცხლავ მიიმალენ სოფლის გარეთ.

VI

საავადმყოფოს დიდი პალატის სხვადასხვა მხრიდან დაჭრილთა კენესა მოისმის. ერთ-ერთ საწოლში წევს ბიჭი, რომელიც თოთხმეტი წლისა თუ იქნება. გაფითრებული, გახშარი სახე ნათლად მოწმობს იმ ტანჯვას, რომელიც მან განიცადა. ეს — ვასიაა...

მის საწოლთან ჩაფრქვებული ზის პეტია. აქ მან სამი დღე გაატარა.

ვასიამ სუსტად დაიკვნესა. .

დაჭრილმა თვალი გაახილა და გაკვირვებული აკვირდებოდა ყველაფერს. თავში წარსულის ნაწყვეტებმა გაურბინა:

დენა... ხშირი სროლა... ჩვენი ჯარის ნაწილი...

სხვა არაფერი არ ახსოვდა. შეხედა პეტიას და მწარედ აქვითინდა.

მათთან მივიდა მოწყალების და, დაამშვიდა ვასია, უამბო წითელი ჯარის გამარჯვებაზე და მტრების უგზო-უკვლოდ დაბნევაზე.

VII

ქალაქის მხიარულება დღესასწაულს მოგაგონებს. ყველგან ფრიალებს წითელი დროშა და

ლოზუნგები, რომელიც წყევლა-კრულვას უგზავნის „სასაკლაოების“ შემქნელთ და სალამს უძღვნის მთელი ქვეყნის დამონებულ ერებს.

ყველანი მოედანზე არიან. სისხლის მსმელებიდან განთავისუფლების დღეს დღესასწაულობენ. ტრიბუნაზე ვასიას მიერ გადარჩენილი სარდალია. მძლავრად გაისმის მისი ხმა მოედანზე.

— ამხანაგებო, ჩვენ გავიმარჯვეთ, მაგრამ იაფად არ დაგვედომია ეს გამარჯვება. ბრძოლის ველმა შეიწირა რამდენი ათასის სიცოცხლე.


— ამხანაგებო, ჩვენი მიზანია მსოფლიო რევოლუცია. აი ამ მიზნისათვის ვცოცხლობთ, ვიბრძვით და ვიბოცებით. მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, ჩვენ ამ მიზანს მაინც მივახწევთ.

ხალხში ორი პატარა ფიგურა მოსჩანს. წითელ-არმიელთ მეტისმეტად გრძელ ფარაჯაში არიან ისინი გახვეულნი. ესენი არიან ჩვენი ძველი ნაცნობნი — პეტია და ვასია. ვასიას ჭრილობა ისევ შეხვეული აქვს.

მათი თვალები მიშტერებიან ტრიბუნაზე მდგომ საყვარელ სარდალს.

შუბლშეკრული. ტუჩები მედგრად იმეორებს: — ჩვენ გავიმარჯვეთ!

ჩვენნი ბელადები.



ამხ. ნ. ბუზარინი

ამხ. ნიკოლოზ ივანეს ძე ბუზარინი 1888 წელს დაიბადა. მამამისი გიმნაზიის მასწავლებელი იყო.

ბოლშევიკურ პარტიაში ნიკოლოზ ივანეს ძე 1906 წელს შევიდა, თვრამეტი წლის ახალგაზრდა.

მისი ხელმძღვანელობით მრავალჯერ მოახდინეს მოსკოვისა და პეტერბურგის მუშებმა გაფიცვა.

1908 წელს ის აირჩიეს პარტიის მოსკოვის კომიტეტში.

რევოლუციონური მოღვაწეობისათვის 1910 წელს ის დატუსაღებულ იქნა. ნიკოლოზ ივანეს ძემ ციხეში ერთი წელი დაჰყო, შემდეგ კი გადასახლებულ იქნა შორეულ და სუსხიან ციმბირში.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ის ციმბირიდან საზღვარგარეთ გაიქცა, და იქ იყო 1917 წლის რევოლუციამდე.

პარტიის მე-VI ყრილობაზე, 1917 წელს, ამხ. ბუზარინი არჩეულ იქნა კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის წევრად.

ცენტრალური კომიტეტის წევრად ამხ. ბუზარინი დღესაც ითვლება.

1918 წლიდან დღემდე ის არის ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს „პრავდას“ რედაქტორი.

ამხ. ბუზარინი არის კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთი გამოჩენილი ბელადთაგანი.



ზ ა ფ ხ უ ლ ი ს ზ ე ი ბ ი.

ცა დაიმსხვრა
 სარკესავით,
 ჩამოირხა
 ბროლის წვიმად,
 მინდვრის კოხტა
 ყვავილები
 გადაიქცენ
 თვალ-ციმციმად.
 მზე გამოკრთა,
 მზე პირს იბანს,
 მზემ ქვეყანას
 გაუღიმა,
 და გააბა
 მთიდან-მთაზე
 სხივთა ლარი
 ოქროს სიმაღ.
 რა ტურფაა
 ეს ზაფხული,
 რა კეკლუცი,
 რა გულნაზი!
 სიხარულის
 ცრემლებს ღვრიან
 ბაღში ვარდი,
 ზვარში ვაზი.
 შეხეთ ნიავს,
 ცუდლუტ ნიავს,
 გიჟმაჟობით

კუდმოგლეჯილს,
 ციბრუტივით
 დავლურს უვლის
 მოლაღანე
 მწვანე ჯეჯილს.
 შეხეთ ნისლსაც,
 სპეტაკ ნისლსაც,
 ტივტივით რომ
 გაეშურა, —
 სერიო-სერზე
 გადავიდა,
 შეფოთლილ ცყეს
 დაესხურა.
 შეხეთ წყაროს,
 სოფლის წყაროს,
 რა ხმატკბილად
 მორაკრაკებს,
 ბაღჩა-ბოსტნებს
 აგვირისტებს
 და უამბობს
 მთის არაკებს.
 მონავარდე
 მზის ტაროლაც
 ისარივით
 ცას მიაპობს,
 და ზაფხულის
 გამოფენას

დაჰხარის და
 სტვენით ამკობს.
 ვიშ, ბუნების
 სიღიადეს,
 ვიშ, სიცოცხლის
 უშრეტ წყაროს!
 რომ შემემდლოს,
 ხელს მოვხვევდი,
 დავკოცნიდი
 მთელ სამყაროს.
 გაზაფხულის
 დღესასწაულს
 უერთდება
 ჩვენი ყრმობა,
 ყრმობა,
 რომლის წყალობითაც
 დამყარდება
 ყველგან ქმობა.
 და მაშინ კი,
 მხოლოდ მაშინ
 აღარავინ
 ივალალებს,
 მზე ერთგვარად
 გამოჰხედავს
 დაბლობებს და
 მთის მწვერვალებს.

გ. ქუჩიშვილი.

პიონერები სოფელ



(ნამდვილი სურათი).

მაისის უმშვენიერესი დღია იყო; ამ დღეს თითქო ბუნებასაც განგებ ხელხისთვის მოეცალა და აწვანებული ველ-მინდვრები, აყვავებული ბაღ-ვენახები ოქროს წითელი სხივებით ღამაზად დაეკარგა. სოფლის გოგოები წყლის პირისკენ ერეკებოდნენ ბატებს, ინდოურებს და გოჭებს, კამეჩებზე შემსხდარი ბიჭები კი მთქნარებითა და ხმელა პურის ღეჭვით მიჰყვებოდნენ ტყისკენ მიმავალ ნახარსს. შორიახლო მინდორზე კი, აღმასკომის წინ, სახელდახელო ტრიბუნა იყო აღმართული წითელი დროშებით, პლაკატებით— პირველი მაისის შესახებდრად

„ერთი, ორი, სამი“— ისმოდა სოფლის მასწავლებლის ვანოს მხიარული ხმა სკოლიდან. მას ახალგაზრდა პიონერები თოხებით და ფოცხებით შეეიარაღებინა და დარაზმულები ბალისაკენ მიჰყავდა.

„ჩვენ შრომის შეილები ვართ, ყმაწვილებო, და გაზაფხულის პირველ კეკლუც დღესაც შრომით უნდა შევხვდეთ“ — დაიწყო ვანომ, როდესაც თავისი მოწაფეები ბალის ერთ ღამაზად ამწვანებულ კუთხეში მიიყვანა, — აი, მე დღეს გაჩვენებთ, როგორ უნდა ბოსტნის გაკეთება, რომელიც თქვენ, როგორც შრომის შეილებს, ყველას დაგჭირდებათ და მერე ამას უჩემოდაც კარგად შეასრულებთ“. ამ სიტყვებით მასწავლებელმა ვანომ აიღო თოხი და თავისივე პიონერების დახმარებით, შემოდგომიდანვე ღრმად ბარით გაფხვიერებული მამული, ერთი მეტრის სიგანის და 12 მეტრის სიგრძე კვლებად დაჰყო თოკებით. ამ კვლებ შუა მან ნახევარი არშინის სიგანე ბილიკებიც დატოვა; ბილიკები ატუცილებლად საჭირო იყო იმიტომ, რომ კვლებთან მიდგომის დროს — თესვაში, მარგვლაში — კვალი ფეხით არ გაეტყუებნათ, რადგან გატყუებნილ მიწაზე ისე არაფერი იხარებს, როგორც სოფლის გზებზე. ბილიკების გაკეთების დროს ვანო მოწაფეებს უხსნიდა, რომ მშრალ და გვალვიან აღმოსავლეთ საქართველოში ეს ბილიკები სამიოდე გოჯით ავსებდნენ ნაპირიდან მიწით მიყრით: რომ კვალი ჩაღრმავებული ყოფილიყო და


სინესტე უკეთესად შეენახა, მხოლოდ ნესტიან დასავლეთ საქართველოში კი უკუღმა მოქცეულიყვნენ: კვალი ავსებდნენ, ბილიკი კი დაედაბლებინათ, რომ ნესტიანი კვლები უკეთესად გამომშრალიყო.

გამოკვეთილ კვლებში ვანომ თავისი თოხიანი პიონერები ჩააყენა და გათოხნით გამაგრებული გორახები დააფხვიერინა; შემდეგ მათ კვალდაკვალ ფოცხიანი ბიჭები მიაყოლა, რომლებიც ფოცხის კბილებით კიდევ უფრო წვრილად აფხვიერებდნენ გორახებს და ბალახის ძირებს და ქვებს კვლიდან წმენდდნენ.

კარგად გაფხვიერებული კვალი მასწავლებელმა მოწაფეებს ახლა კარგად გაასწორებინა ლარში, რომ მისი მორწყვა წყლის მიგდებით არ გაძნელებულიყო და თესლიც ყველგან თანაბრად ამოსულიყო.

გამზადებულ კვლებზე მასწავლებელი ახლა სხვა ბოსტნეულის თესვას შეუდგა. წვრილი მწვანეულობა, წიწმატი: თვის ბოლოკი, კამა, ქინძი, სალათა, აგრეთვე სანერგე ოქროვანშლა და ბადრიჯანი მან კვლებზე ცოტა უფრო ხშირად, თითო ლოტი, გაფანტვით ჩათესა, შემდეგ კი ფოცხის კბილებით, ოდნავ დაწოლით, ჩათესილს ერთ გოჯზე მიწა დააფარა.

„აი, ყმაწვილებო, ამგვარად ხდება ერთწლოვანი ბოსტნეულობის თესვა გაფანტვით, ერთწლოვანებს კი ჩვენ ვეძახით ისეთებს, რომლებიც საქმელად პირველ წელსვე შემოდინან, ყვავილობენ კიდევ და ისპობიან ხოლმე. ორწლოვანებს ვეძახით ხახვს, სტაფილოს, ქარხალს და ასეთებს, რომლებიც მხოლოდ მეორე წლიდან ყვავილობენ; დანარჩენები: მჟაუნა, სატაცური, ვარდყავილა, კარტოფილი, მიწის ვაშლი კი მრავალწლოვანები არიან, განუმარტა ბავშვებს ვანომ და საქმე განაგრძო. რომ კვლის კარგად გაფხვიერებული მიწა უკეთესად მიჰკროდა ნათესს და არც ქარს წაეღო, ამისათვის ვანომ კვლის ზედაპირს ფიცრის სახეპელა, რომელსაც



პიონერები შეუდგენ ნიადაგის თხნას.

ერთარშინიანი ტარი ჰქონდა, ოღნავ დაარტყა და მიტკეპნა.

„ყველაფერი გათავდა; ახლა ნათესს მხოლოდ კარგი მორწყვა დასჭირდება, და მაისის თბილი დარი ჩვენ თესლს უკვე სამ-ოთხ დღეში გააღვივებს. აბა, ბიჭებო, წყალი მოიტათ, ახლა სხვა თესლების თესვას გასწავლით“.

ორმა მუყაითმა პიონერმა ყველაზე წინ დასტაცა საცრიან სარწყულებს ხელი. ისინი იქვე პატარა მდინარისკენ გაეშურენ. ვახომ ბავშებს გაჰოართვა სარწყულები, ჯერ აუხსნა წყლის დიდი მნიშვნელობა მცენარეთათვის: მცენარეები მხოლოდ მით სულდგმულობენ და უიმისოდ არ შეუძლიათ სკოცხლე, წყალი აღნობს მცენარისათვის საჭირო მარილებს მიწაში: გვარჯილას, კალის, ფოსფორის, აზოტის ან სხვა მარილებს.

ვანო ამის შემდეგ მორწყვას შეუდგა. დათესილ კვალს წყალი საცრიანი სარწყულით მაღლიდან ჟუჟუნა წვიმისავით დაუშვა და ყველგან თანაბრად ასველებდა, ისე კი, რომ ძალიან არ დაეჭოკებინა. როდესაც მიწა დასხმულ წყალს შეიწოვდა, ის ხელმეორედ უბრუნდებოდა და კიდევ რწყავდა, სანამ ის ორ გოჯზე კარგად არ დააღობა.

მეორე კვლებზე ვანომ პიონერებს მწკრივად თესვა აჩვენა, რომლებშიც უფრო სხვილი და ორწლოვანი მცენარეები — ჭარხალი, სტაფილო და ხახვი, აგრეთვე კიტრიც, ჩათესა. კიტრი, მართალია; ერთწლოვანი მცენარეა, მაგრამ იმდენად მსხვილი ფოთოლ-ღეროები აქვს, რომ აუცილებლად შორი-შორს უნდა ჩა-

ითესოს მწკრივზე: ამისათვის კვლების გარდი-გარდ-მო, მხოლოდ ზოგან კი მათ სიგრძეზედაც, თითო ცილის ერთმანეთიდან დაშორებით, მან თიხის ნატეხით ორი გოჯის სიღრმე ვიწრო ხაროები გააკეთა და შიგ მწკრივადვე ამ ბოსტნეულობის თესლეულობა თხლად ჩათესა, ისე კი, რომ თითო გოჯის მანძილზე ორი-სამი თესლი ჩავარდნილიყო. მან ნაღარები ფოცხის ყუით ისევ გაასწორა და თესლს მიწა წააყარა. მიტკეპნა და მორწყვა ისევ ძველებურად მოახდინა; კიტრის დასათესად მან თითო კვლის შუაგულში მხოლოდ თითო ხარო წრე გააკეთა და თესლიც თითო გოჯზე დათესა და ამგვარად ეს წრეები თითო არშინ ნახევრით დააშორა ერთმანეთს.

რადგან ნესვს, საზამთროს და ნამეტნავად კი გოგრას, რომლის თითო ნაყოფიც ოთხთამდე იწონის, ძლიერ დიდი ადგილი უკავია, ამიტომ ვანომ ესენი უფრო შორ-შორს განგებ გაკეთებულ ორმოებში ჩათესა. ეს ორმოები მან თითო საყენით დააშორა ერთმანეთს, მხოლოდ ნესვ საზამთროსთვის კი ორ არშინზე და ერთი ბარის პირზე — 1/2 არშინის სიგანეზე — დათხარა, გოგრების ორმოებში ორ-ორი ნიჩაბი პატივიც კი ჩააყარა, მიწაში აურია, რადგან ის ძლიერ მოყვარულია ნესვის, და ჩათესა. ამათი თესლი მან თითო ორმოში სამ-სამი ჩააგდო თითებიტ კუთხეში, ორ-ორი გოჯის სიმაღლეზე, შემდეგ ისევ მიწა წააყარა, ოღნავ მიტკეპნა და მორწყვა. ამით გაათავეს მათ გაზაფხულის პირველი სამუშაო — თესვა — და შუადღისას დაქანცულები სადილად დაბრუნდენ, მხოლოდ სადილის შემდეგ კი

ისევ ერთად მოიყარეს თავი პირველი მაისის შესახვედრად.


ამის შემდეგ პიონერები ყოველდღე დადიოდნენ თავიანთ ბოსტანში და სიბოში ამობზინებული ბოსტნეულის ჩითილს უვლიდნენ: რწყავდნენ, მარვლიდნენ და აფხვიერებდნენ, რომ ერთმანეთი არ დაეჩაგრათ.

მათი ამოსვლის შემდეგ კი ორ-სამ დღეში უნდა დაეხვედნენ.

კვლებში ჩათესილ ბოსტნეულს სარეველა ბალახებმა მოუსწრო და ჩითილს ჩაგრავედა, უჩრდილავედა, სინოყვირეს ართმევედა, ამიტომ ვანო პიონერებს კვლების გასამარგლადაც ძლიერ ხშირად გზავნიდა. ისინი ოდნავ მორეულ ბალახს ძირიანადვე გლეჯდნენ და კვლიდან შორს გადაჰყრიდნენ, რომ არ გაცოცხლებულიყო და გამხმარიყო.

კვლების გამარგელის დროს ჩითილსაც ათხვლებდნენ, სადაც კი ის ქუჩად იყო ამოსული, რომ ყველასათვის თანაბარი თავისუფალი ადგილი მიეცათ.

მცენარე ცოცხალი არსებაა; იგი ისევე იზადება თესლიდან, იზრდება, იკვებება და კვდება, როგორც სხვა ცხოველები. მას საზრდოდ სჭირდება როგორც მინერალური მარილი, ისე სასუნთქად სუფთა ჰაერიც. ეს ჰაერი უნდა როგორც



შეუდგენ ნიადაგის მორწყვას.

კვლების მორწყვა, სანამ ჩითილი ამოვიდოდა, ყოველდღე უხდებოდათ. მათ მორწყვას ისინი უმთავრესად საღამომით აწარმოებდნენ, ან ძალიან ადრე დილით, რადგან საღამოთი დასხმულ წყალს მცენარე ღამის განმავლობაში კარგად ირგებს, მხოლოდ სიცხეში დასხმული კი მალე შრება და თან ჩითილის შესველებული ფოთოლი კქნება, იხრუკება; ჩითილის ამოსვლამდე ესენი კვლებს ყოველ საღამოთი რწყავდნენ გვალვიან დარში, მხოლოდ

ფოთლებს, ისე ძირებსაც. გატკეპნილი მიწა ფესვებთან ძალიან ცუდად უშვებს როგორც ჰაერს, ისე წყალსაც, ამიტომ კვლებს ხშირად სამარგლში ჩხირებით კიდევ აფხვიერებენ.

პიონერებს მალე თავისი ბოსტნეული ჰქონდათ, რამაც უფრო მეტად შეაყვარა მათ ნაყოფიერი შრომა.

აგრონომი დანელია.

როგორ ჩავასტაროთ ბავშვთა კვირეული.

ქ. ბორჯომი.



მოახლოვდა ბავშვთა კვირეულის დრო. ბორჯომის სარაიონო ნ. პ. ბიურო დიდ მზადებაშია: ამზადებს პიონერებს კვირეულის შესახვედრად, ამზადებს მომხსენებლებს.

17 მაისია. დღეს პიონერები დემონსტრაციით შეხვდებიან ერთმანეთს 7-წლედის შრომის სკოლასთან. ყველას ღიმი უკრთის, უხარიათ თავისი დღესასწაული. დადგა ეს საათიც. ერთ წყებად დარაზმული საბავშვო ბაღის კოლექტივი „პარიზის კომუ-

ნის“ და „ბუხარინის“ რუსული სკოლის კოლექტივები ხვდებიან ერთმანეთს მუსიკით. ყველანი მიდიან ოქტომბრის სახელობის კლუბში.

საზეიმო სხდომა გახსნა სარაიონო ბიუროს თავჯდომარემ, ამხ. ხუჯაძემ, და შესავალი სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე პარტიის, პროფ. კავშირის, პიონერთა ორგანიზაციის წარმომადგენელნი, რომელნიც აღნიშნავენ პიონერთა მოძრაობის წინსვლას საერთო მაშტაბით.

პავლე კ. ბლიაძე.

გ ა ე ც ი მ ა მ ა

მოქმედება მე-2-რე.

სცენა წარმოადგენს როტმისტრის კაბინეტს, სდგას რბილი ავეჯით მოწყობილი საწერი მაგიდა, წიგნები, ტელეფონი. საღამოა.

გამოსვლა I.

როტმისტრი და ადიუტანტი.

როტმისტრი. მაშ აგრე, თქვენ ლაპარაკობთ, რომ მრავლდებიან?..

ადიუტანტი. დიახ, ყოველდღიურად, ბატონო როტმისტრო?..

როტმისტრი. სამწუხაროა, ძალიან სამწუხაროა! კიდევ რა შეგიძლიათ გვაცნობოთ?

ადიუტანტი. ქალაქში ხშირად ჩნდება კომუნისტების მიერ დაბეჭდილი პროკლამაციები.

როტმისტრი. თქვენ, მე მგონი, იღებთ ყოველგვარ ზომას, არა?



პიონერთა აღლუმი ბავშთა მე-VII საერთაშორისო კვირეულის დღეს ქ. ტფილისში.

ადიუტანტი. დიახ, ბატონო როტმისტრო, მხოლოდ შედეგები ძალიან სუსტია, პროკლამაციებს ბავშები აკრავენ, პიონერები. მთავარი ისაა, რომ ამას სჩადიან შუალამისას და ბავშვების მიმართ არ შეიძლება ისეთი ზომების მიღება, როგორც დიდების მიმართ.

როტმისტრი. ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი! უნდა როგორმე გავაელოთ ეგ აყროლებული ბალახი; ძირიან-ფესვიანად უნდა აღმოვფხვრაოთ. მე წინადადებას გაძლევთ პროკლამაციების გამკვრელნი ყველანი დაიჭიროთ, წლოვანობის განურჩევლად. ვინც გინდა იყოს, სულერთია...

ადიუტანტი. მესმის, ბატონო როტმისტრო!..

როტმისტრი. როგორ ვერ იპოვეთ ის... დამავიწყდა... ხო, შპიგელი, რომელიც ქარხანაში მიტინგზე გამოვიდა.

ადიუტანტი. ვერ შევძელით მისი პოვნა, ბატონო როტმისტრო. აგერ სამი დღეა, რაც შინ არ მიდის. ვცდილობდით გვეპოვნა, მაგრამ ძებნა უშედეგო გამოდგა და არც კი გვაქვს ცნობები, თუ სად წავიდა. უკანასკნელად გაჩხრეკის დროს ვერაფერი ვერ ვიპოვეთ, გარდა შვილისა. ჟანდარმებმ, ის წამოიყვანეს. მე მეგონა, მისგან შეიძლებოდა ყველაფრის გაგება, მაგრამ ბავში არაფერს ამბობს. შეიძლება თქვენ

როგორმე გამოსტეხოთ. ჩვენ ვერაფერს გავხდით.

როტმისტრი. აბა ვნახოთ ჯანდარმს დაუძახეთ. (ადიუტანტი მიდის კარებისაკენ) მოიცა, მე ერთგვარი გეგმა მომივიდა აზრად. თქვენ ხომ არ იცით, ბავშს უყვარს თუ არა წიგნის კითხვა?

ადიუტანტი: შეიძლება უყვარს: სასწავლებელში ძალიან კარგად სწავლობს. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებელში მასწავლებელი მის წინააღმდეგ ილაშქრებს, დირექტორს არ უნდა მისი დათხოვნა სასწავლებლიდან.

როტმისტრი. მშვენიერია, მშვენიერია! მოიტანეთ ჩემი სამკითხველოდან რომელიმე წიგნი. ლამაზი ყდით, ხომ იცით, ოქროს ასობით რომ არის?..

ადიუტანტი. მესმის, ბატონო როტმისტრო! (გადასმარჯვნივ).

გამოსვლა II.

როტმისტრი მარტო.

როტმისტრი (ხელების ფშვნეტით დადის). მშვენიერი აზრია! ბავშს ჯერ ხომ არც კი უნახავს ფუფუნების საგნები, ვინც ცის, ჯერ არ უგე-

მნია კონფეტები კრიფტის ქარხნისა. კარგია, კარგი, ჩვენ ამას ყველაფერს მივართმევთ, ამითი კი ჩვენ გავიგებთ, სად იმყოფება მისი მამა. ესეც ასე! (ზანს რეკს).

გამოსვლა III.

შემოდის 1 უნდარმი.

როტმისტრი. დაუძახეთ მარტას.

1-ლი უნდარმი. მესმის! (გადის)

გამოსვლა IV.

შემოდის ადიუტანტი.

ადიუტანტი. ინებეთ, ბატონო როტმისტრო (აძღვეს წიგნს). მე მგონი ეს დაინტერესებს.

როტმისტრი. ძალიან კარგია! მაშ დღეს პატარა ღამის გასართობი. მომიყვანე ბავშვი აქ.

ადიუტანტი. მესმის, ბატონო როტმისტრო (სამსუდრო საღამს აძღვეს ხელის აწვეით და გადის).

გამოსვლა V.

შემოდის მსახური ქალი მარტა.

მარტა. თქვენ მეძახოდით, ბატონო? რა გნებათ?

როტმისტრი. საჩქაროდ მომიტანეთ საუზმე ერთი კაციისთვის. იცით, რა უნდა მოამზადოთ? რაიქე გემრიელი, მომეტებული შოკოლადი, კონფეტები და ხილი. . მე მომიტანე ერთი ბოთლი შამპანიური.

მარტა. მესმის, ყველაფერი იქნება!

როტმისტრი. მხოლოდ საჩქაროდ!... (მოსამსხურე ქალი გადის).

გამოსვლა VI.

შემოდის მე-2 უნდარმი და კარლო.

2-რე უნდარმი. აი, თქვენო აღმატებულებავ, შპიგელის შეილი (კარლო გაკვირვებით ათვალიერებს თანხს).

როტმისტრი. კარგი, დასტოვე ეგ აქ, შენ შეგიძლია წახვიდე.

2-რე უნდარმი. მესმის! (გადის)

გამოსვლა VII.

როტმისტრი და კარლო

როტმისტრი (ჯდება სვარძელზე. თავაზიანად კარლოს). აბა, ძვირფასო ბავშვო, მოდი ჩემთან...

კარლო (თავისთვის) იწყება. (მიდის ახლოს **როტმისტრი.** დაჯექი აქ, ახლოს. (კარლო ჯდება). მითხარ, ბავშო, რა გქვიან?..

კარლო. კარლო.

როტმისტრი. რამდენი წლისა ხარ, კარლო?

კარლო. შემოდგომაზე შემისრულდება 14 წელი.



ბავშთა მე-VII საერთაშორისო კვირეულის დღე. დემონსტრანტ-პიონერებს ესალმებიან: გან. სახ. კომ. მოადგილე—ამხ. მარამ ორახელაშვილი, ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას მდივანი ამხ. მ. გობეჩია, ს. ა. ლ. კ. კ. აგიტპროპის გამგე—ამხ. არუთინოვი და სხვ.

როტმისტრი. შენ, მგონი, სწავლობ. რომელ სკოლაში?..

კარლო. დიახ, ვსწავლობ, მე-3 უბანში რომ არის.

როტმისტრი. შენ, მგონი, გიყვარს სწავლა, არა?

კარლო. მიყვარს.

როტმისტრი. ძნელია სწავლა?..

კარლო. არა, მასწავლებელნი ამბობენ, რომ ძლიერ დიდი ნიჭი მაქვს სწავლაში.

როტმისტრი. კითხვა გიყვარს?

კარლო. დიახ, მიყვარს. ძალიან მიყვარს. წიგნი ხომ მეგობარია ისეთი ღარიბი მუშის შეილისათვის, როგორც მე ვარ.

როტმისტრი. მერე რატომ გგონია, რომ მარტო ღარიბებისათვის არის?

კარლო. იმიტომ, რომ მდიდრის შეილებს შეუძლიათ ყოფნა ყველგან გამოფენებზე, სხვა ქვეყნებში, ზოლოლოგიურ ბაღებში, თეატრებში; ყოველივე ამას უნდა ფული, და ეს კი ჩვენ არა გვაქვს. ჩვენ კი გვინდა ვიცოდეთ ყველაფერი. წიგნები გვაძლევს ამის საშუალებას



პიონერთა დემონსტრაცია ქ. ტფილისში ბავშთა მე-VII საერთაშორისო კვირეულის დღეს.

როტმისტრი (ხაფხისაყენ). სულილი ბავში არ არის! (კარლას) შენ გაქვს წიგნები?

კარლო. საკუთარი არა მაქვს, ხანდახან მასწავლებლები გვაძლევენ.

როტმისტრი (ხელებს იფშენეტს). აგრე, აგრე!.. მშვენიერია! (კარლას) გინდა, მე გაჩუქებ შენ ძალიან საინტერესო წიგნს? (დგება და მაგიდიდან იღებს წიგნს. კარლო ჩუმად).

როტმისტრი (წიგნს აძლევს). აი, გასინჯე. (თავაზიანად) შენ თუ ეგ მოგეწონება, შეგიძლია წაიღო.

კარლო (ართმევს წიგნს, უნდაბლად ათვალიერებს, შემდეგ განარბუი ამბობს) ოხ, ეს ხომ კაპიტანი სკოტის მოგზაურობაა ჩრდილოეთ

პოლიუსისაკენ. მე ცოტა მხდება კიბეა ჩრდილოეთის შესახებ. გმადლობთ, ძალიან გმადლობთ.

როტმისტრი. მშვენიერია! მაშ ჩემი წიგნით შენ კაცოფილი ხარ? მართლა, მითხარი, როდის დაგატყვევებს ჩემმა სულიელმა ჟანდარმებმა? შენ მაშინ მარტო იყავი?

კარლო. დიხ, მარტო ვიყავი...

როტმისტრი. შენ დიდი ხანი იყავი შინ?

კარლო. დილიდან დედა წავიდა სამუშაოს საძებნელად და არ დაბრუნებულა. უამისოდ დამატყვევეს.

როტმისტრი. ეს ჟანდარმები სულიელები არიან. ახლავე გაგიშვებთ. მაშ შენ ამბობ, რომ დილიდან შინ მარტო იყავი? მერე აგრე გვიან? ვინ იცის, არაფერი არ გიქამია დილიდან, არა?

კარლო. არა, მე ვისაუზმე, როცა მოვედი სასწავლებლიდან. მართლაც და დედა შინ არ იყო და ვინ გააკეთებდა საჭქელს (ისმას კარების ხმაურა).

გამოსვლა VIII.

შემოდის მსახური ქალი მარტა ლანგარით.

როტმისტრი (დგება). აქ დადგი, მარტა! აგრე. მშვენიერია, ახლა შეგიძლია წახვიდე (მარტა გადის).

ჩ ი ნ ე ლ ბ ა ვ შ ე ბ ს.

თქვენ ხართ დაჩაგრულ მამათ შვილები, მკერდი რომ გახსნეს მტრებთან ბრძოლაში, უნდაო მტერი და იწირებით მწარე ნაღველის და გულის თქმაში.

საკუთარი მზის სითბო და სხივი სასიხარულოდ არ გინთებსთ თვალებს, შეუწყვეტელად განიცდით ტკივილს და ზურგსაც უხრით ქვეყნის მტარვალებს,—

მაგრამ კოცონი უკვე ინთება, მგზნებარე ალი ვრცელდება ირგვლოვ, და ვინც ბავშური ოფლით ითვრება, მალე პირისპირ შეხვდება სიკვდილს...

თქვენს მაჯის ცემას ადევნებს თვალყურს მშრომელთ ქვეყანა, მშრომელთა მხარე, ის მალე ნახავს ზემს და აღლუმს, როს თქვენთან დროშებს ააელვარებს...

ტანჯულთა ტრფობით დარაზმულ ბავშვებს, მწარედ რომ გრძნობენ თქვენსა წამებას, პიონერული მხნეობით ვავსებთ, მათ საცოცხლევ არ დაენანებათ.

და მხნედ წამოვლენ მკვეთრ დაძახილზე, როგორც დაჩაგრულ ხალხთა პირმშონი, მაშინ, როდესაც ბრძოლის მახვილზე თავისუფლების ხმები იშვება...

ე. პოლუმორდვინოვი.

რე სთქვა კომკავშირის მეორე კონფერენციამ პიონერ-მოძრაობისა და პიონერ-ორგანიზაციისა

სრულიად საქართველოს კომკავშირის მეორე კონფერენციამ ამას წინათ დაასრულა თავისი მუშაობა. გარკვეულ იქნა მრავალი პრაქტიკული და საჭირობო საკითხი, კომკავშირის ორგანიზაციისთან და ჩვენ სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირებული. ბუნებრივია, რომ კონფერენციამ უნდა შეჩერებულყო პიონერ-მოძრაობის და მუშაობის საკითხებზედაც. კონფერენციამ ასეც მოიქცა და აღნიშნა, რომ პიონერ-ორგანიზაცია დღეს თავისი შინაარსის გარდატეხის და გადახალისების პერიოდში იმყოფება.

ბავშთა კომუნისტური მოძრაობა საქართველოში დღეს მთელ რიგ დაბრკოლებას განიცდის ბავშთა გაზრდილ მოთხოვნილებებთან შეუფარდებლობის გამო, რაც თავისებურ გავლენას ახდენს ორგანიზაციის ზრდაზე: უკანასკნელ ხანებში აღვილი ჰქონდა პიონერ-ორგანიზაციიდან ბავშთა გასვლას; ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ჩვენი მუშაობის შინაარსი ვერ აკმაყოფილებდა ბავშთა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ამიტომ გადაუდებელ ამოცანად უნდა დავისახოთ, რომ პიონერ მუშაობის შინაარსი უფრო მრავალფეროვანი გახადოთ, ბავშთა ინტერესებს და მოთხოვნილებებს შეეფუარდოთ.

აუცილებელია პიონერ-მუშაობის მეტი გამოცოცხლება, მისი გაუმჯობესება და გაღრმავება ბავშთა თვითმოქმედების საფუძვლებზე, აგრეთვე ხელმძღვანელობის ფორმის და მეთოდის გაუმჯობესება.

რაც შეეხება ხელმძღვანელობის საკითხს, გამოიკვეთა, რომ ჩვენი პარტია და კომკავშირი, განსაკუთრებით დაბალი საუჯრედო ორგანიზაციების სახით, ჯერ კიდევ ნაიღებ ინტერესს იჩენს და ახლოს ვერ იცნობს პიონერთა შორის მუშაობის ყვე-

ლა კონკრეტულ ფორმას და მეთოდს. ზოგიერთ მხარეში საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ არ არის სავსებით დაინტერესებული პიონერ-მოძრაობის საკითხებით, მთელ რიგ მხარეებში შენიშნულია დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ (მაგ. განათლების, პროფკავშირების და სხვა) სრული უყურადღებობა პიონერ მოძრაობისადმი და სხვ. ამიტომაც, რომ კომკავშირის მეორე კონფერენციამ თავის რეზოლუციებში შემდეგზე მიგვიითია:

„პიონერ-მოძრაობის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში მოითხოვს კომკავშირისაგან



სამხრეთ-ოსეთის ერთ-ერთი პიონერ-კოლექტივი.

პიონერ-მოძრაობისადმი დიდი ყურადღების მიქცევას— მუშაობის გამოცოცხლებისა და კოლექტივების მუშაობის ბავშთა მოთხოვნილებებთან შეფარდების გზით, რისთვისაც აუცილებელია ამ მუშაობაში ჩაბმულ იქნენ საუკეთესო მომუშავენი... აუცილებელია აგრეთვე დაინტერესებული ორგანიზაციების საზოგადოებრივი აზრის გარდატეხა და კომკავშირელთა პროცენტის გადიდება მასში“.

რაც შეეხება რეზოლიუციის ამ მუხლის პრაქტიკულად გატარება-გამოყენების მხარეებს, ამაზე შემდეგ ნომერში.

ს ა მ ი თ ა ო ზ ა

კომუნისტები, კომკავშირელები და ნორჩი პიონერები—სამი რგოლია ერთი ჯაჭვის, სამი თაობაა ბოლშევიკების.

პიონერები, რომლებიც მიახწევენ იმ ასაკს, რომელსაც მოითხოვს საკავშირო ა. ლ. კ. კ. წესდება, კომკავშირში გადადიან. კომკავშირელი ასეთივე წესით გადადის პარტიაში. აქედან ცხადია, რომ თვითეული პიონერი უნდა ემზადოს იმისათვის, რომ მომავალში გახდეს კომუნისტური პარტიის ღირსეული წევრი.

მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ არა ყოველი პიონერი გადადის კომკავშირში, არამედ ყველაზე უფრო აქტიური, თავდაჭერილი და ღირსეული კიდე უფრო სასტიკად ცხრილავენ პარტიაში მიღების დროს.

პიონერები, რომლებსაც სურთ მომავალში პროლეტარიატის პირველ რიგებში სვლა, კომუნისტური პარტიის რიგებში, უნდა ცდილობდნენ, რომ წინ წაიწიონ სწავლაში, მუშაობაში და კარგი დისციპლინის მქონენი იყვნენ.

კომუნარების ამ სამ თაობას შორის მტკიცე კავშირი არსებობს: პარტია ხელმძღვანელობს კომკავშირს, ხოლო კომკავშირი - პიონერებს. გარდა ამისა, პარტია თავის წარმომადგენლებს ამაგრებს

პიონერთა კოლექტივზე. პარტიის ეს წარმომადგენლები თვალყურს ადევნებენ იმას, კარგად ზრდიან თუ არა კომკავშირელები პიონერებს, აგრეთვე ხელმძღვანელობას უწევს კომკავშირელებს, რომლებიც პიონერთა შორის მუშაობენ, რჩევას და დარიგებას აძლევენ მათ.

რამდენადაც უფრო მტკიცე იქნება ეს კავშირი, რამდენადაც უფრო მეტი იქნებიან პარტ-მიმაგრებული ამხანაგები, — მით უფრო უკეთესი იქნება მუშაობა კოლექტივებში, მით უფრო უკეთეს ბოლშე-

ვიკურ აღზრდას და გამობრძმედას მიიღებენ პიონერები.

სამწუხაროდ, ჩვენს კოლექტივებში ყველაფერი თავის რიგზე ვერ არის.

ზოგჯერ პარტ-მიმაგრებული ამხანაგი იმდენად არის დატვირთული პარტიული თუ სხვა საზოგადოებრივი სამუშაოთი, რომ შესაძლებლობა არ აქვს ინახულოს კოლექტივი, გაუწიოს მას ხელმძღვანელობა, ეს კი გავლენას ახდენს პიონერ-კოლექტივის მუშაობაზე: ის რჩება პარტიისგან უხელმძღვანელო და დაუხმარებელი.

ზოგჯერ კი კომკავშირელი—პიონერები საკმაოდ ანგარიშს არ უწევენ პარტიის წარმომადგენლის რჩევას, გვერდს უვლიან მას მუშაობაში, საქმეს თავისებურად აკეთებენ.

ან, დაბოლოს, თვით პიონერები ეკიდებიან უყურადღებოდ პარტიის წარმომადგენლის რჩევა დარიგებას.

ასეთ მოვლენებს მომავალში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

პარტიის უჯრედებმა პიონერ-კოლექტივებს უნდა მიამაგრონ ისეთი ამხანაგები, რომლებიც არ იქნებიან ძლიერ დატვირთული საქმით, რომლებიც შესძლებენ ღრმად ჩასწვდენ პიონერთა მუშაობას.

კომკავშირელები და პიონერები, აქტივისტები და უბრალოებიც, ერთნაირად უნდა მოეპყრონ პარტ-მიმაგრებულ ამხანაგს: ამხანაგურად, პატივისცემით, ყურადღებით, და დაემორჩილონ მის რჩევა-დარიგებას.

ამ ლოზუნგის შესახებ დაფიქრება და სათანადო დასკვნის გამოყვანა მართებს როგორც პარტ-ამხანაგებს, ისევე კომკავშირელებს და პიონერებს.

შელი



პიონერები ბანაკად.

პიონერთა ბანაკი.

ზამთრის განმავლობაში ჯანმრთელობაზე ზრუნვა მეტად ძნელდება. პიონერი მოკლებულია სუფთა ჰაერზე მოძრაობა-მოქმედების საშუალებას და უფრო ხშირად დახურულ შენობაში იმყოფება. იგი თითქმის მოკლებულია ვარჯიშობის საშუალებას,



ბანაკი ბანაკად ყოფნის დროს.

რადგან ზამთრობით ცუდი ამინდი ხშირი მოვლენაა და კოლექტივს კი ფიზიკურ ვარჯიშობათა საწარმოებლად სათანადო ბინა არ მოეპოვება. მზის სხივებით და წყლით სარგებლობაც ხომ შეუძლებელი ხდება ზამთრობით. სამაგიეროდ ყოველი დაბრკოლება იფანტება გაზაფხულის მოსვლისთანავე.

გაზაფხული უკვე დადგა; საკმარისი სიზოთა, მაშასადამე, შესაძლებელია უკვე ბანაკის მოწყობისათვის წინასწარი მზადების დაწყება.

პიონერთა კოლექტიური გაჯანსაღების საუკეთესო საშუალებად ბანაკი უნდა ჩაითვალოს, რადგან მისი საშუალებით პიონერს შეუძლია აღადგინოს ზამთრის განმავლობაში დაკარგული ძალ-ღონე. ამაირად ბანაკის მნიშვნელოვან ამოცანად პიონერთა ფიზიკური გაჯანსაღება ითვლება და ამიტომაც მუშაობის გეგმაში მას სათანადო ყურადღებაც უნდა მიექცეს.

მაგრამ, გარდა ამისა, ბანაკი სხვა მხრივაც არის სასარგებლო: პიონერი ეჩვევა საზოგადოებრივ და შრომით მოქმედებას. აუცილებლად უნდა იქნეს შეთანხმებული საექიმო მოახოვნილებანი და

პიონერთა ჯანმრთელობა. საზოგადოებრივ-შრომითმა მუშაობამ უნდა ასწიოს პიონერთა თვითმოქმედება და შეაჩვიოს საზოგადოებრივ—სასარგებლო შრომას. გარდა ამისა, ბანაკის კომუნალური ცხოვრება მკიდრად აკავშირებს პიონერებს, რომლებიც ეცნობიან და უახლოვდებიან ერთმანეთს.

მაგრამ, ჩვენსა საუბედუროდ, ყველა კოლექტივს არა აქვს ბანაკად გამგზავრების საშუალება, რადგან ამის სათანადო ხარჯების გაწევა სჭირდება. ამ საქმის მოწესრიგება კოლექტივს მხოლოდ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოთა დახმარებით შეუძლია. სათანადო დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ აგრეთვე ჯანმრთელობის და ფიზკულტურის ორგანოებს—ექიმთა და ინსტრუქტორთა მიწოდებით.


მაგრამ რა უნდა ჰქნას ისეთმა კოლექტივმა, რომელსაც უსახსრობის გამო არ შეუძლია ბანაკად გასვლა და ძალაუნებურად ქალაქში უნდა დარჩეს? ამგვარი კოლექტივებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პიონერთა მოედნის მოწყობას და ერთი ან რამოდენიმე დღით გამართულ გაფრენას (ექსკურსიას).



საუბარი კოცონთან.

თუ როგორ უნდა მოეწყოს პიონერთა ბანაკი ან მოედანი—ამის შესახებ შემდეგ წერილში ვისაუბრებთ.

მ. გორგაძე.



როგორ ცხოვრობენ ჩინალი ბავშვები.

აბრეშუმის საქსოვ ქარხანაში.

ლამით მომუშავე ქალები და ბავშვები სწრაფად გარბიან თავიანთი დაზგებისაკენ. დაახლოვებით თვითეულ ორ მოზრდილზე მოდის ერთი ბავში. უკვე 6-14 წლის ბავშვებს დაკავებული აქვთ თავიანთი სამუშაო ადგილები ადუღებული წყლების აუზებთან. ისინი სწმენდენ აბრეშუმის პარკს და ამზადებენ აბ-

ტოვონ ისინი შინ და ამიტომ მოჰყავთ სამუშაოზე; ზოგიერთი ბავში მიკრული ჰყავთ თავიანთ მშობლებს ზურგზე, ზოგიერთებიც დახობავენ მტვერში და ნაგავში, გადაყრილ ნედლეულობასა და მანქანებს შორის. მალე ისინი გახდებიან 7-8 წლის და მაშინ ისინიც დაზგის მუშები იქნებიან.

რეშუმის ძაფებს საქსოვად. მათი პატარა თითები მუდამ ეხებიან ადუღებულ წყალს და ამის გამო თითები დაფარული აქვთ ქრილობებით. ბავშვები ფეხზე მდგომნი მუშაობენ და ხშირად ისე იღლებიან, რომ ველარაფერს ვერ გრძნობენ.



ბავშვების პიონერები.

ბავშვების უმეტესობა არაფერს არ იღებს თავიანთ მუშაობაში. ფაბრიკანტები ბავშვებს ქირობენ მშობლებისაგან და, ხელშეკრულების თანახმად, მათ აძლევენ თვეში 2 მანეთს, ხოლო თვითონ კი მათგან 4 მანეთს მოგებას იღებენ. როდესაც, ხელშეკრულების თანახმად, ფაბრიკანტი იღებს ბავშვებს,

— „რა სამუშაო ქირას იღებ? — შეეკითხა რვა წლის გოგონას ბურჟუაზიული საკონტროლო კომისიის წევრი ფაბრიკის გამოკვლევის დროს.


— „მე ვმუშაობ თორმეტ საათს, — უპასუხა პატარა გოგონამ, — და ამაში მიძლევენ 15-20 ცენტს (კაპეიკს). მე ხშირად მიწევს მუშაობა ღამით. მთელი კვირის განმავლობაში დაუსვენებლად ვმუშაობ“.

იოგელი ბავშვა ტირილი გაისმის. ეს პატარა ძუძუმწოვარა ბავშვებს სძინავთ დაკიდებულ კალათებში. მათ დედებს არ აქვთ საშვალეობა ვინმესთან და-

მათ ისე ექცევა, როგორც მონებს. ბავშვები ცხოვრობენ ბ.ნძურ, ბნელ ყაზარმებში, სადაც მათ ძლიერ ცუდად კვებავენ.

წუმწუმის ფაბრიკაში.

შანხაიში, ჩინეთის ყველაზე დიდ ქალაქში, არის წუმწუმის მრავალი ფაბრიკა. წუმწუმის ყუთების დამზადება, მათში ჩალაგება და სხვა წვრილი სამუშაო პატარა ბავშვებს აქვთ მინდობილი. კაპიტალისტები



ამბობენ, რომ ბავშვების მკვირცხლი ხელი ყველაზე უფრო გამოსადგვია ამ სამუშაოსათვის. ბავშვები თავისი მუშაობისათვის დღეში იღებენ 3-5 კაპეიკს. წუმწუშის ფაბრიკაში ჰაერი მეტისმეტად მძიმე და ჯანმრთელობისათვის მავნებელია საწამლაიანი თეთრი ფოსფორის აორთქლებისგან ბავშვები ხშირად ავად ხდებიან და იწამლებიან.

სამრეცხველოში

აქ მუშაობენ 5-15 წლის ბავშვები; ისინი რეცხავენ, აუთოებენ და გადააქვთ დიდი სიმძიმეები და სხვ. პატარა ბავშვები ეხმარებიან დიდებს საცვლების შეგროვებაში, მათ გადატანაში, გაშრობაში და გაუთოებაში და სხვ. სამრეცხველოებში ბავშვები მუშაობას იწყებენ მზის ამოსვლისთანავე და შუალამდის მუშაობენ.

მუშათა საავადმყოფოში

პირველ ლოგინში წევს შვიდი წლის ბავში, რომელსაც ქალაღლის გამკეთებელ ფაბრიკაში მუშაობის დროს მანქანამ ხელის ორი თითი მოსწყვიტა. ის მუშაობს თავის ორ პატარა დასთან ერთად. სა-

მივენი ერთად დღეში თერთმეტ კაპეიკს აკეთებენ. ბავში, რასაკვირველია, არ იღებს არავითარ დახმარებას, ის მთელ თავის ცხოვრებაში მხოლოდ ახლა ისვენებს და ისიც მხოლოდ საავადმყოფოში.

პროფკავშირებში.

ჩვენთვის შეიძლება გასაკვირველიც იყოს ის, რომ ჩინეთის ბავშვები პროფკავშირის წევრებად ითვლებიან, მაგრამ ეს შინც ასეა: 6-9 წლის პატარა მუშები ითვლებიან პროფკავშირის ახალგაზრდათა სექციის წევრებად. თავიანთი პროფკავშირების საშვალებით ჩინეთის ნორჩი მუშები ებრძვიან მწარმოებლებს თავიანთი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, სამუშაო ქირის მოსამატებლად, სამუშაო დღის შესამკირებლად, ბავშვების სკოლაში მისაცემად და სხვ.

7-9 წლის ჩინელ ბავშვებს დღეს უხდებათ მოზრდილ მუშებთან ერთად თავიანთი ფაბრიკანტების, მჩაგვრელების წინააღმდეგ გამოსვლა.

გაფიცვები, საპროტესტო დემონსტრაციები, ბავშვების სიკვდილი პოლიციასთან შეტაკების დროს ქუჩებში ყველაფერი ეს დღეს სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად გადააქცა ჩინეთის მუშა ბავშვებისათვის.

კოლმეცნიას პიონერების ეზონია.

ავსტრიაში პოლიციამ აკრძალა წითელ პიონერთა დღესასწაული იმ მიზეზით, თითქოს ეს დღესასწაული „დაარღვევდა საზოგადოებრივ მკუდროებას“.

კამპანია პიონერთა წინააღმდეგ.

ავსტრიის პოლიციამ დახურა წითელ პიონერთა კომიტეტი. კომიტეტის აკრძალვა შედეგია იმ კამპანიისა, რომელიც პანგერმანელებმა დაიწყეს პარლამენტში წითელ პიონერთა ორგანიზაციის წინააღმდეგ. პოლიცია ამ აკრძალვას იმით ხსნის, რომ კომიტეტის მოქმედება ეწინააღმდეგება სახალხო სკოლების სამოსწავლო წესებს.

ღევნას არ უზინდებიან

(ჰოლანდიის ინდოეთი)

ტროპიკულ კუნძულებზე, მხურვალე მზის სხივების ქვეშ, ყავისა და ჩაის პლანტაციებზე მუშაობს რამდენიმე ათიათასი მონა ჰოლანდიელი კაპიტალისტებისა. მრავალი წლები მუშაობდნ ისინი უსიტყვოდ, მაგრამ ახლა ის დრო აღარ არის.

ჰოლანდიის ინდოეთში არსებობს კომპარტია, რომელმაც ჩამოაყალიბა კომკავშირი და ბავშთა კომუნისტური ჯგუფები. ამჟამად ბავშთა ჯგუფებში 1200 წევრი ითვლება. ისინი მუშაობენ ყავის და ჩაის პლანტაციების პატარა მუშათა შორის. მაგრამ

მათ თავისი მუშაობა განსაკუთრებით გაათაროეს სკოლაში.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჰოლანდიის ინდოეთის მრავალი სკოლის მოწაფეებმა უარი განაცხადეს გაკვეთილის შემდეგ ლოცვის მღერაზე და მის ნაცვლად ინტერნაციონალი იმღერეს. პოლიცია სდევნის ბავშთა კომჯგუფებს, სკაუტები ებრძვიან მათ, მაგრამ ბავშვებს არც ღვენისა და არც ბრძოლისა არ ეშინიათ და მათი ჯგუფები დღითიდღე იზრდება.

დავეხმაროთ ჩინეთის გუშათს და გლეხთს ბავშვს!

ბავშვებო, ჩვენ ყველას გაგვიგონია, თუ რა ხდება დღეს ჩინეთში. ჩვენ აგრეთვე ვიცით, თუ როგორ მძიმე და აუტანელ პირობებში ცხოვრობენ ჩინეთის მუშაობა და გლეხთა ბავშვები, რომლებიც თავიანთ მამებთან, დედებთან, უფროს ძმებთან და დებთან ერთად იბრძვიან თავისუფლებისათვის, ჩინეთის მსოფლიო ყაჩაღების — ბურჟუაზიის (ინგლისის, ამერიკის, იაპონიის და სხვ.) ბატონობისაგან გასათავისუფლებლად.

ჩვენ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ბავშვები, ყოველნაირად უნდა დავეხმაროთ ჩინეთის ბავშვებს. უკანასკნელი რამოდენიმე კვირის განმავლობაში ქ. ტფილისში მოწყობილ იქნა ფულის შეგროვება ჩინეთის ბავშვების სასარგებლოდ; ფულების შემგროვებლები იყვნენ პიონერები და მოსწავლეები. მათ შეაგროვეს მნიშვნელოვანი თანხა, რომელიც დანიშნულებისამებრ გადაეუბნა ჩინეთში.



ავსტრიის პარლამენტის არჩევნების დროს კომუნისტურ პარტიას პიონერებიც ეხმარებოდნენ. ამ სურათზე გამოხატულია ავსტრიის პიონერების დემონსტრაცია პლაკატებით ხელში: „პარლამენტში აირჩიეთ კომუნისტები“.

ფულის შეგროვების სხვა საშუალებებიც არის: ასეთია ლოტარეა, ფასიანი საღამოების გამართვა და სხვ. რატომ, მაგალითად, რომელიმე სკოლაში ან კოლექტივში არ შეიძლება მოკაწყოს ლოტარეა რომელიმე საინტერესო წიგნზე? ამით შეიძლება მნიშვნელოვანი თანხის შეგროვება, რომელსაც შემდეგ გადაეუბნავით ჩინეთის ბავშვებს საქართველოს ბავშვთა კომორგანიზაციის ც. ბ. საშუალებით.

რომ დაეხმარო, — უნდა იცოდეთ ვის და რით დაეხმარო, ამიტომ ყველა ჩვენთაგანის ვალდებულებაა გულდასმით ვადევნოთ თვალყური ჩინეთის ამბებს. ეს არც ისე ძნელია. მის შესახებ საკმაოდ იწერება ჩვენს ჟურნალ „პიონერში“.

არიან ისეთი პიონერები, რომლებსაც მხოლოდ ყური მოუკრავთ, ჩინეთში რევოლუცია ხდებაო, მხო-

ლოდ თუ რა რევოლუციაა, იმარჯვებს ის თუ მარცხდება — ეს კი არ იციან და არც არიან იმით დაინტერესებულნი.

რა უნდა მოვამოქმედოთ იმისათვის, რომ ბავშვები დავაინტერესოთ ჩინეთის ამბებით?

მოისმინეთ, თუ როგორ მოიქცენ ერთ-ერთი კოლექტივის პიონერები ჩრდილოეთ კავკასიაში:

„ჩვენ ვართ გაზეთის კითხვის წრის წევრები, — სწერს ბავშვობის სერგო ერშოვი, — ჩვენ სი-

სტემატიურად ვიკრიბებოდით ბიბლიოთეკაში, სადაც აგრეთვე სხვა ბავშვებიც ბლომად იყრიდნენ თავს. მათ ჩვენ ვუამბობდით ჩინეთის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, ჩინეთის მუშათა და გლეხთა მძიმე მდგომარეობის შესახებ, სუნიატსენის შესახებ. შემდეგ წავუკითხეთ მათ ტიხონოვის წიგნი „ხალხის მეგობარი“. ჩვენ მიერ ჩატარებულმა საუბრებმა დიდი ინ-

ტერესი გამოიწვია ბავშვებში. მოგვცეს მრავალი შეკითხვა, იყო აგრეთვე კამათიც ჩვენი რაიონის მე-14 სკოლამ გვთხოვა ასეთივე საუბარი ჩავეტარებინა იქაც, რის თანხმობაც ჩვენ მივეცით“.

აი როგორ უნდა მოვაწყოს ეს საქმე. როგორც ხედავთ, ის ძლიერ საინტერესო, საინფორმაციო და თანაც ცოდნის მომცემია.

საქართველოს პიონერ კოლექტივებო და სკოლებო! აიღეთ ასეთი პატარა მუშაკებისაგან მაგალითი, გააცანით ბავშვებს ჩინეთის მშრომელი ხალხის ბრძოლა!

ჩვენი ყურადღება მეტობოდ რევოლუციონურ ჩინეთს!

როგორ გვესხმიან თავს.

„ორ მთავრობას შორის არსებული დამოკიდებულება ამით სწყდება და მოვალე ვარ გთხოვოთ, რომ თქვენ და თქვენმა თანამშრომლებმა დასტოვოთ ინგლისი უახლოესი ათი დღის განმავლობაში“. ასე თავდება ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის ოსტინ ჩემბერლენის ნოტა.

ბალდუინის მთავრობამ შესწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ს. ს. რ. კავშირთან; ინგლისის კონსერვატორებს არ სურთ შეურიგდნენ ს. ს. რ. კონრალურ განვითარებას და ზრდას. ეს გადაწყვეტა არ იყო მოულოდნელი საბჭოთა მთავრობისათვის. მან უკვე დიდი ხანია იცოდა, რომ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შეწყვეტას მთელი თავისი პოლიტიკით ამზადებდა ინგლისის ახლანდელი ცეცხლის წამკიდებელი, მშრომელი ხალხის ჯალათი—კონსერვატიული მთავრობა, რომელიც ყოველთვის გაურბოდა საბჭოთა მთავრობის წინადადებებს სადაო საკითხების მოლაპარაკებათა საშუალებით მოგვარების შესახებ.

ამ ბრალდებათა ერთადერთ წყაროდ, როგორც ეს არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, არის ის არასინდისიერი ინფორმაცია, რომელიც თეთრგვარდიელი ემიგრანტების მეტად საეჭვო წყაროებს და ყალბ დოკუმენტებს ემყარება, რითაც ინგლისის მთავრობა ყოველთვის დიდი კმაყოფილებით სარგებლობდა მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მათსა და საბჭოთა მთავრობას შორის ურთიერთობა დაიწყო.


რაში გვდებენ ბრალს ინგლისის ყაჩაღები?

ამას წინათ „არკოს ლიმიტედში“ და რუსეთის სავაჭრო დელეგაციის შენობაში 200 კაცისაგან შემდგარი პოლიციელთა რაზმის მიერ ჩატარებულმა თავდასხმამ და ჩხრეკამ თურმე გამოარკვია, რომ ამ „სახლიდან“ სწარმოებდა და ხორციელდებოდა როგორც სამხედრო ჯაშუშობა, ისე მტრული პოლიტიკა ბრიტანეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, სწარმოებდა მტრული პროპაგანდა როგორც ბრიტანეთის საზღვრებში, ისე ზღვებს იქეთ მდებარე ბრიტანეთის კუთვნილ ადგილებშიც. ბოლშევიკებმა თავისი აგენტების საშუალებით, თურმე, შესძლეს მოეპარათ რაღაც საგულისხმიერო ინგლისური სახელწიფოებრივი დოკუმენტები და სხვ.

როგორც ვხედავთ, ამხანაგებო, მუშათა მოძრაობის საერთაშორისო ბანდიტებს მორიგი პროვოკაციით და ცილისწამებით სურთ გამოიწვიონ არეგდა რევა, სურთ უხეშად გამოიწვიონ დიდი მშრომე-

ლი ხალხი; ინგლისის კაპიტალისტები და ლორდები არღვევენ მშვიდობიანობას და წაღმავენ ევროპის ნიადაგს, ამაგრებენ ბილიტარიზმის პოზიციებს და ჰქმნიან პირობებს ახალი ხოცვა-ჟლეტისათვის.

ჩვენ ვიცით, რომ ბინძური პროვოკაციები და ომის საშიშროება მოგველის, მაგრამ ამავე დროს ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ არ არსებობს ქვეყნად ის ძალა, რომელსაც შეეძლოს მოსპოს საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების ბრძოლებით მოპოებული ისტორიული გზისკენ ლტოლვა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურ ფართო მასებში ინგლისის ნოტა არავითარ შიშს არ გამოიწვევს, პირიქით — რევოლუციონური აღფრთოვანების ახალ ტალღებს და თავდაცვის საშუალებათა გაძლიერებას გამოიწვევს.



ამხ. ა. როზენგოლცი
ს. ს. რ. კ. რწმუნებულის
მოვალეობის აღმასრულებელი
ინგლისში

ჩვენ მარტონი არა ვარ, ჩვენ მილიონები თანაგვიგრძნობენ თვით ჩვენი მტრების ქვეყნებში და ეს ჩვენი მოკავშირენი, ჩვენი ძმები და ამხანაგები, იმყოფებიან არა მარტო რევოლუციონურ ჩინეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, არა მარტო კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ თვით ინგლისშიაც კი, ვინაიდან ბალდუინის, ჯოინსონ ხიკსის მთავრობამ ერთდროულად გაილაშქრა როგორც ჩვენს, ისე ინგლისის პროლეტარიატის წინააღმდეგ.

ინგლისი გვემუქრება ომით, ბლოკადით; ამ ისტორიულ მომენტში საბჭოთა კავშირის შეკავშირებული, რევოლუციონურ ბრძოლებში გამობრძმედილი პროლეტარიატი, მშრომელი მასები შემდეგს ეტყვიან მთელს მსოფლიოს:

„ჩვენ არ გვეშინია არავითარი მუქარის! ჩვენ არ გვსურს სისხლის ღვრა, მაგრამ თუ დასავლეთის ავაზაკებმა მოგვახვიეს თავზე ახალი იმპერიალისტური ომი, ჩვენ მთელი რევოლუციონური შეგნებით და ენტუზიაზმით დავიცავთ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართ, ჩვენს სოციალისტურ აღმშენებლობას!“

ჩვენ მტკიცედ გვიჭირავს ხელში ვინტოვკები და მედგარ ბრძოლას ვაწარმოებთ სოციალიზმის



საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციების შენობა ლონდონში. მეორე სართულში მოთავსებულია ს. ს. რ. კ. სავაჭრო წარმომადგენლობა, დანარჩენებში კი „არკოსი“. გაჩხრიკეს მთელი შენობა.

გამარჯვებისათვის და დაჩაგრულ ხალხების განთავისუფლებისათვის.

მსოფლიო რეაქციის ბნელი ძალები იმუქრებიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრებით. ინგლისის მთავრობა ამზადებს ომს ჩვენს წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის მშრომელნი ღირსეულად დაუბედებიან ამ საფრთხეს.

ჩვენ ვგრძნობთ (და ეს ასეც არის), რომ საბჭოთა კავშირის წითელ დროშას, საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს საჭიროების დროს მხარში ამოუდგებიან მილიონები: გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი მუშები, ინდოელი და ეგვიპტელი გლეხები, ბენარესელები ზანგები.

და ეს ბრძოლა გათავდება ჩვენი გამარჯვებით, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით.

მზად ვიყოთ, პიონერებო, სოციალისტური აღმშენებლობის სადარაჯოებზე! მზად ვიყოთ მუშათა საქმისათვის! მზად ვიყოთ, ნორჩო ლენინელებო, ლენინის საქმისათვის!

გ. ლ.

ნ ა ვ თ ი.

თანამედროვე წარმოებისათვის ნავთი დაუფასებელია. ტყვილად კი არ იბრძვიან ნავთის რაიონების ხელში ჩასაგდებად თანამედროვე იმპერიალისტური სახელმწიფოები.

იმ პროლეტების შესახებ, რომლებიც ნავთისაგან კეთდება, ჩვენ საუბარი გვექნება ქვევით, ახლა კი გამოვარკვიოთ, საიდან გაჩნდა ნავთი, როგორ წარმოიშვა ეს შავი ოქრო.

ნავთის წარმოება.

მეცნიერებს ეს საკითხი ჯერაც არა აქვს გადაწყვეტილი. ზოგი ამბობს, რომ ნავთი შემდეგნაირად წარმოიშვა:

ღრმად მიწის გულში მრავალი საუკუნის განმავლობაში იმყოფებოდა ნახშირბადის რკინის უზარმაზარი ფენები. ეს ფენები იმყოფებოდა ზღვის ფსკერის ქვეშ. მთელი საუკუნეების განმავლობაში გუგუნებდა მათ ზემოთ ზღვის ტალღები, მაგრამ თანდათან ზღვის წყალი ცვეთდა ფსკერს. გაჩნდა ნასკლომები. ამ ნასკლომებში გაჟონა დედამიწის გულში წყალმა და მიახწია ნახშირბადის რკინის ფენებს. ზღვის წყლის გავლენით ნახშირბადი რკინის ფენები აირად გადაიქცა, ე. ი. ნახშირწყალმბადად. ბევრი საუკუნის შემდეგ დედამიწის გულში აირი ნახშირწყალმბადი ნავთად გადაიქცა.

ეს თეორია მტკიცდება ლაბორატორიებში ცდებით. მეცნიერები იღებდნენ ნახშირბადის რკინას. თანდათანობით ახდენდნენ მასზე ზღვის წყლის გავლენას და იღებდნენ აირს, ნახშირწყალმბადს. ამ აირზე ახდენდნენ ძლიერ წნევას (ღრმად დედამიწის ქვეშ ხომ საშინელი წნევა არის), და ჩნდებოდა ნავთი.


ეს ცდები გვეუბნება. რომ ამ სახით შეიძლება მივიღოთ ნავთი, მაგრამ სწორედ ასე გაჩნდა თუ არა ბუნებაში ნავთი, ამას ცდები ვერ ამტკიცებს. ბუნებაში ბევრი ადგილია, სადაც ნახშირბადიანი რკინა მოიპოვება, ზღვის წყალიც ჟონავს და უფროდება, მაგრამ ნავთი კი არ ჩნდება. სწორედ ამ გარემოებას ეყრდნობიან სხვა მეცნიერები, რომლებიც ნავთის წარმოშობის მიზეზად ორგანიულ, ცოცხალ არსებათა ნაშთებს სთვლიან.

ამ თეორიის მომხრეებიც ორ თეორია ნავთის ორგანიული წარმოშობის შესახებ. მოწინააღმდეგე მხარედ იყოფიან: ერთი მხარს ფიქრობს, რომ ნავთი წარმოიშვა ძველის-ძველად

არსებული მცენარეების ნაშთებისაგან, უმთავრესად წყლის მცენარისაგან. ეს მცენარეები ათასი წნების განმავლობაში იმყოფებოდა მიწის ქვეშ და ზედა ფენების წველის გავლენით გადაიქცა ნავთად. მეორე მხარე კი ამტკიცებს,

ნავთი ზღვის მკვდარი ცხოველების ნაშთიაო. ზღვები თანდათან შრებოდა და ილეოდა. ხანდახან ეს ხდებოდა სწრაფად, რამე გეოლოგიური კატასტროფა ერთბაშად სპობდა ზღვას. მოლუსკები, თევზები, ზღვის ვარსკვლავები და სხვები იყრიდნენ თავს ზღვის მცირე გადარჩენილადგი-

წილი არის ნამდვილი ნავთი. როდესაც გამოჰყვებიან ნავთსა და ბენზინს, ქვაბში რჩება მასზე, რომელიც უმთავრესი სათბობი მასალაა ყველა ჩვენი ორთქლმავლებისა, გემებისა, ფაბრიკა-ქარხნებისა და ელექტრო-სადგურებისათვის.




ნავთის შადრევანი.

მაგრამ მასზეთისაგან შეიძლება ამავე თბობის და გამოხდის საშვალებით გაკეთება სხვადასხვა მანქანების საწმენდი და გასაზეთავი ზეთის, ვაზელინის და სხ. მასზეთისაგან ზეთის გამოხდის შემდეგ რჩება ჰუდრონი, ან ნავთის ფისი. ყველა პროდუქტების ქიმიურად დამუშავების შემდეგ ვლებულობთ სხვადასხვა ფერის საღებავებს.

ჩვენ ამ წერილში, რასაკვირველია, არ ჩამოგვივთვლია ყველა ის პროდუქტი, რაც ნავთისაგან კეთდება. მაგრამ აქედანაც ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნავთს თანამედროვე ცხოვრებაში.

უბნზინოდ არ შეიძლებოდათ მოძრაობა აეროპლანებს და ავტომობილებს, მასზეთი დაუფასებელია, როგორც სათბობი მასალა საწარმოო დაწესებულებებში ძრავებისთვის, ნავთის მნიშვნელობა ხომ ყველასათვის ცხადია. ნავთის ზეთი რომ არ იყოს, ვერ იმუშავებდნენ მანქანები ქარხნებში, ვაზელინს, პარაფინს ხმარობენ სხვადასხვა ქიმიური პროდუქტებისათვის, მაგალით. ვაზელინი საჭიროა სხვადასხვა წამლებისათვის და სხვ.



ნავთის აუზი ჩაქუხა ნავთის ტბაში.

ტყვილად კი არ იბრძვიან ახლა სახელმწიფოები ნავთის გულისათვის. ის ამ სხვადასხვა საჭირო პროდუქტის დასამუშავებლად საჭიროა, მაგრამ როგორ უნდა ამოვიღოთ ის დედამიწის გულიდან?

(დასასრული იქნება).

კ. ლეო.

ლას და იქ ილუპებოდნენ საბოლოოდ. შემდეგ მრავალი წლების განმავლობაში იყვნენ ჩამარხული დედამიწაში და მრავალი ათასი წლების განმავლობაში იქცეოდნენ ნავთად. არც ერთი ეს ორი თეორია, ისე, როგორც პირველი, ჯერ არ არის საბოლოოდ დამტკიცებული.

მაგრამ დეე გამოარკვიოს მეცნიერებამ ნავთის წარმოშობის ამბავი, მთელი დედამიწის ზურგზე მცხოვრები თანამედროვე ხალხებისათვის ეს შავი და მოსქო სითხე ერთი დიდმნიშვნელოვანი საუნჯეაგანია მიწის გულიდან ამოღებულ სიმდიდრეთა შორის.

მიწის გულიდან ამოღებულ ნავთს ხდია. ნავთის გამოხდა შემდეგნაირად ხდობა: ნავთს ასხამენ გერმეტიულად თავდაცულ ქვაბში და ამ ქვაბს აცხელებენ.

ნავთის ერთი ნაწილი იქცევა ორთქლად. ორთქლი ქვაბიდან გაყვანილი მილებით გადადის მეორე ქვაბში, იქ აცივებენ და ეს არის ბენზინი და აიროლინი. შემდეგ ხელმეორედ აცხელებენ და მეორედ ორთქლად ქცეული ნა-

რადარა პროდუქტები კეთდება ნავთისაგან და როგორ აკეთებენ?

როგორ უნდა მოიქცას პიონარი, თუ მას სურს ჯანმრთელი იყოს.

(დასასრული).

ჯანსაღისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დღე-ღამის განმავლობაში შრომისათვის, დასვენებისათვის და ძილისათვის დროს მიზანშეწონილად განაწილებას.

უნდა იშრომო განსაზღვრული დროის განმავლობაში, წლოვანების მიხედვით.

მაგალითად, ნხედველობაში რომ მივიდოთ სკოლაში და კოლექტივში მუშაობა, წლოვანების მიხედვით, შრომისათვის დრო შემდეგნაირად უნდა იქნეს განაწილებული:

| წლოვანება | დღეში უნდა იმუშაოს |
|------------|--------------------|
| 8 — 10 წ. | 4 საათი |
| 10 — 11 წ. | 5 " |
| 12 — 13 წ. | 6 " |
| 14 — 16 წ. | 7 " |

გადაქარბებული შრომა გამოიწვევს დაქანცულობას, ღონის დასუსტებას და, ბოლოს, უმეტეს შემთხვევაში ქლეჩით დაავადებას.

დასვენება ადამიანისათვის აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს, მხოლოდ დასვენება უნდა ხდებოდეს ჯანისათვის მარგებელ პირობებში და სუფთა ჰაერზე. ჩვენი სხეული უმოავრესად ისვენებს ძილის დროს, რომელიც წლოვანობის მიხედვით შემდეგნაირად უნდა იქნეს განაწილებული:

| | |
|------------|-------------------------------------|
| 8 — 9 წ. | უნდა იძინოს 11 ს. |
| 10 — 11 წ. | " 10 ¹ / ₂ ს. |
| 12 — 13 წ. | " 10 ს. |
| 14 წ. | " 9 ¹ / ₂ ს. |
| 15 — 16 წ. | " 9 ს. |

გახსოვდეს, რომ ჰაერი, წყალი და მზე — პიონერის ჯანის საუკეთესო და მეტად ერთგული მეგობარია.

ამიტომ უნდა ეცადო დაისვენო და ითამაშო სუფთა ჰაერზე.

ადამიანი — ცოცხალი მანქანაა, რომელიც ისე არის მოწყობილი, რომ, განსაზღვრული მუშაობის

შესრულების შემდეგ, სათანადო დასვენებას მოითხოვს.

თუ ცხოვრების ნორმალური პირობები დარღვეულია, ე. ი. არ არის შესრულებული ყოველივე ის, რასაც ჩვენ ზემოთ გავცანიით და რაც ჩვენი ჯანისათვის აუცილებელ მოთხოვნილებას წარმოადგენს, მანქანა თანდათანობით ცვდება, ზიანდება, სხეული სუსტდება ჰკარგავს შრომის და ყოველ ავადმყოფობასთან ბრძოლის უნარიანობას.

თუ დროზე იქნა სათანადო ზომები მიღებული, ადამიანი გამოკეთდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი საშუალოდ დაიღუპება. აქედან ვხედავთ, რომ სხეულის ბუნებრივი დამცველი ძალა — ჯანი, ადამიანისათვის საუკეთესო ექიმია და ეს ძალა წარმოადგენს ისეთ სამკურნალო საშუალებას, რომელიც დედამიწის ზურგზე არც ერთ აფთიაქში არ მოიპოვება.

ეს რომ სრული ჭეშმირიტებაა, ამაში გვარწმუნებს ჩვენ შემდეგი ბუნებრივი მოვლენა.

თუ, მაგალითად, ჯანმრთელი ხარ, თუ შენი სხეული არ არის დასუსტებული, მოეპოვება მას ძალა და უნარი ავადმყოფობასთან წინააღმდეგობის გასაწევად, ავად არ გახდები და თუ გინდა ავად გახდე, ავადმყოფობას ადვილად გადაიტან. შენი მაგარი სხეული ბრძოლაში გაიმარჯვებს, მიკრობებს მოერევა და მოსპობს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ჯანით სუსტი ხარ, ტანში შეჭრილი მიკრობები ადვილად მოერევიან შენს სხეულს და აუცილებლად ავად გახდები.

ახლა ადვილი გასაგებია შენთვის, რატომ ავადმყოფობს ხშირად ზოგი და ზოგი კი ავად იშვიათად ხდება; ცხოვრების ერთსადანიმავე პირობებში, ერთიდაიგივე ავადმყოფობით დაავადებულებიდან ერთი რჩება და მეორე კი კვდება. ყველაფერი ეს კარგად გახსოვდეს და ეცადე ახალგაზრდობიდანვე გაიმავრო ჯანი.

ექ. მღებრიშვილი.




ზრდადი



ტ ა ლ ლ ა თ ა გ უ ნ ე ბ ა

რადიოში გამოყენებული ელექტრო-მაგნიტური ტალღების შესადარებლად ყველაზე უმჯობესია წარმოვიდგინოთ ტალღები, ტბის ზედაპირზე მის შუაში ქვის ჩაგდებით წარმოშობილი. როცა ქვა ვარდება წყალში, ის აძევებს და დენის სითხის განსაზღვრულ ოდენობას, და ეს უეცარი გადანაცვლება იწვევს წყლის ციმციმს, რომელიც რგოლებრივად ვრცელდება და მისი რადიუსი თანდათან იზრდება. ეს ციმციმი შესდგება წყლის ტალღებისაგან, რომლებიც ბევრ რამეში ჰგვანან რადიო-სადგურის მიერ გაგზავნილ ტალღებს.



ტალღების წარმოშობა ტბის ზედაპირზე, ტბაში ქვის ჩაგდებით გამოწვეული.

უწინარეს ყოვლისა, ტალღები წყლის ზედაპირზე ყოველი მიმართულებით ვრცელდება.

სხვათა შორის, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ელექტრო-მაგნიტური ტალღები აუცილებლად ყოველი მიმართულებით მიდიან, ასე რომ გადამცემი სადგურის ზევით პირდაპირ მფრენ ჰაერობლანსაც შეუძლია აგრეთვე მიიღოს მის მიერ გაგზავნილი ნიშნები. შემდეგ საჭიროა რამოდენიმე დრო, რომ ციმციმმა შესძლოს გავრცელება რამოდენიმე მანძილზე. სწორედ ამნაირადვე რადიო-ტალღები თავის მოგზაურობაზე განსაზღვრულ დროს ხარჯავენ, მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს მიმოხანი დრო იმდენად უმნიშვნელოა, იმდენად მოკლეა, რომ შეიძლება ანგარიშში არც ჩავადლოთ. ასე, მაგალითად, თუ ჩვენ

ვგზავნით ელექტრო-მაგნიტურ ტალღას ლონდონიდან, ის ამერიკას ახწვევს ერთი წამის მესამედი ნაწილის განმავლობაში. ამგვარად ელექტრო-მაგნიტურ ტალღებს აქვთ ის უპირატესობა, რომ ყოველი პრაქტიკული მიზნებისათვის ისინი შეგვიძლია ჩვეთვალთ მიზნის მყისვე მიხწვევად. მეტი სინამდვილით რომ ვთქვათ, მათი გავრცელების სისწრაფე 300.000 კილომეტრს უდრის წამში.

მსგავსების მეორე მხარეს შეიცავს კიდევ აი რა: ტალღები, ტბაზე წარმოშობილი მასში ქვის ჩაგდების გამო, თანდათან ქრება. უფრო ძლიერი ტალღები იმ წერტილის მახლობლად, სადაც ქვა ჩავადდეთ წყალში.

ნაპირთან თანდათან მიახლოებით ისინი შესაძლოა სრულდებით გაქრენ. სწორედ ამგვარადვე, მომუშავე სადგურიც არ გზავნის თავის ტალღებს დაუსრულებელ მანძილზე; ტალღები თანდათან სუსტდება და ბოლოს სრულდებით უჩინარი ხდება. როცა მომუშავე გადამცემ წყოსს მკირე სიძლიავერე აქვს, ის სუსტ ტალღებს გზავნის და ისინი ქრებიან მოკლე მანძილზე; მაშასადამე, თუ რადიომიმღები გადამცემი წყოსის მოქმედების მინდვრის მიღმა (იქით) იმყოფება, ის ვერ შესძლებს მიიღოს გაგზავნილი ნიშნები. თუ საჭიროა ცნობის გადამცემა უფრო შორ მანძილზე, მაშინ უფრო ძლიერი გადამცემი სადგური დაგვიჭირდება. სწორედ ამგვარადვე ჩვენთვის აუცილებელი იქნებოდა უფრო დიდი ქვის ჩაგდება, თუ ჩვენი სურვილი იქნებოდა, რომ წყლის ციმციმი გავრცელებულიყო ტბის ზედაპირის მეტ მანძილზე.

ახლა ვნახოთ, როგორ შეგვიძლია ჩვენ ნიშნების გადამცემა წყლის ზედაპირზე ნიშნებისავე საშუალებით.

წარმოვიდგინოთ, რომ ნავი მასზე მყოფი კაცი სწორედ ტბის შუა ადგილას არის. ამ კაცს ხელ-

ში ხის დიდი კუნძი აქვს, რომელსაც ის საცურა-
ვად უშვებს წყლის ზედაპირზე.

მეორე კაცი ტბის ნაპირას იმყოფება, ტბის შუა-
გულშიდან ასი იარღის მანძილზე. და ისიც უშვებს
წყალზე ხის კუნძს. ტბის შუაში მყოფს შეუქლია
გაგზავნოს ტალღები წყლის ზედაპირით, თუ ის
წყალში ხან ასწევს და ხან კი დასწევს თავის ხის
კუნძს. ამ მის მიერ წარმოებულ მოძრაობათა მიხედ-
ვით სულ ახალ-ახალი რგოლისებრივი ტალღები წარ-
მოსდგებიან; ისინი ვრცელდება თვით ტბის ნაპი-



ნიშნების მიცემა ტალღების საშუალებით ტბის ზედაპირზე.

რებამდე და აიძულებენ ხის მეორე კუნძს იქანაოს
ზევით და ქვევით, რომ ტბა მოცული ყოფილიყო სქე-
ლი ნისლით, მაშინ ნაპირზე მდგომი კაცი თავის
კუნძზე თვალყურის დევნების დროს ვერ შესძლებდა გა-
მოერკვია, აძლევდა თუ არა მას ნავში მყოფი კაცი
ნიშნებს. კაცს ტბის შუაგულიდან, რომელსაც შეგ-

ვიძლია ვადამცემი სადგური ვუწოდოთ, შევძლო
გამოგზავნა ხაზაკი თავისი კუნძის რხევით ზევით და
ქვევით, ვთქვათ, სამი წამის განმავლობაში. ამ ხნის გან-
მავლობაში ის გაგზავნიდა ტალღებს ტბის ზედაპირ-
ზე, და ეს ტალღები აიძულებდნენ მეორე კუნძს—
მიმღებ სადგურთან — ექანავა ზევით და ქვევით, და-
ახლოებით სამი წამის განმავლობაში.


თუ ვადამცემი სადგური ამოძრავებს თავის კუნძს
მხოლოდ ერთი წამის განმავლობაში, ის გვაძლევს
წერტილის ნიშანს; მაშინ ნაპირთან მყოფი კუნძი
დაიბრუნე; დაახლოებით აგრეთვე ერთ წამს, და მიმ-
ღებ სადგურთან მყოფ კაცს ეცოდინება, რომ მას
გაგზავნა წერტილი.

თქვენ ნათლად გაქვთ წარმოდგენილი, რომ ამ-
გვარი ვადამცემი სადგური ადვილად შესძლებს, მსგავსი
საშუალებით, გზავნოს ნიშნები მორზეს კოდით;
მაგრამ, ცხადია, ეს იქნებოდა ნიშნების ვადამცემის
მეტად უხეში საშუალება, და მე მომყავს ის მხო-
ლოდ როგორც მაგალითი, რომ ამით გაგიწიოთ და-
ხმარება და იქონიოთ უფრო ნათელი წარმოდგენა იმის
შესახებ, თუ რადიო-სადგურებს რა რიგად აქვთ ერთ-
მანეთთან ურთიერთობა ტალღების საშუალებით.

შიორვენი თ რინველები

(დასასრული).

1926 წელს „წითელ სხეში“ № 3 გვექონდა
მოთავსებული, თუ როგორ მოაწყეს მოსკოვში პი-
ონერებმა ფრინველთა დასაცავად დემონსტრაცია.
პიონერთა ერთმა ჯგუფმა მოსკოვის „ნესკუჩნი
ბაღში“ დაჰკიდა 400 პატარა სახლი ხეებზე. ამ
წელს ისინი, თურმე, ფრთოსანთა დაცვის შე-
სახებ უფრო დიდი მუშაობის ჩატარებას ფიქრო-
ბენ, და კარგი იქნება მოსკოვის პიონერებს თქვენც
მიხამოთ. სულ ადვილად შეგიძლიათ
თქვენც გააკეთოთ პატარა ფრთოსან-
თა სახლები. რადგანაც ყველა ფრინ-
ველი ერთნაირ ბუდეში არ ცხოვ-
რობს, ამისათვის ჩვენ აქ მოგვყავს
სამნაირი ბუდის ნიმუში. ამისთანა
პატარა სახლების ვაკეთება სულ ადვი-
ლად მოხერხდება. ამისათვის ჩვენ უნ-
და გვექონდეს: პატარა ხეობი, ჩაქუ-
ჩი, ფიცარი, ლურსმანი და „ზამასკა“.




შოშიების სახლები.

ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ ნახმარი ფიცრე-
ბით და ნახმარი ლურსმნებით, მხოლოდ ფიცრის სის-
ქე უნდა იყოს არა ნაკლებ 2 სანტიმეტრისა, რად-
განაც თხელი ფიცრიდან ვაკეთებულ ბუდეში ხმაუ-
რობა მეტად შედის, რაც ძალიან აშინებთ ფრთოს-
ნებს და გაუბრუნებს საცხოვრებელს. გვერდის
ფიცრები მჭიდროდ უნდა მიდიოდეს ერთმანეთზე, რომ
სინათლე ან ქარი არსაიდან არ შედიოდეს. ამისა-

ნური ბუდის სიგრძე-სიგანეს და ჩასაფრენის ზომას,
რადგან აქ მოყვანილ სურათებზეა აღნიშნული.

ყოველმა მოწაფემ, ყოველმა პიონერმა და ყვე-
ლა ბავშვა თავის უახლოეს მიზნად უნდა დაისახოს
ფრთოსანთა მეგობრების დახმარება და, ნიშნად მათ-
თან მეგობრობისა, ყოველმა მათგანმა თითო ხელოვ-
ნური ბუდე უნდა გაუკეთოს მათ.




როგორ იღებენ კინოს „ტრიუკებს“.

არის ხშირად შემთხვევები და გინახავთ კინოსურათებში, რომ ერთი მოწინააღმდეგე პირი დასცემს მეორეს შუბს ან რაიმე ცივ იარაღს და ერთ მხარეზე დაკრული იარაღი მოწინააღმდეგის მეორე მხარეზე გადის. მკვდარი მოწინააღმდეგე ძირს ეცემა; ამ მოვლენის გადაღებაც ისეთივე იოლი საქმეა, როგორც ზემოხსენებული მოვლენის.

გადამღები აპარატი იღებს, როდესაც მოწინააღმდეგე უახლოვდება მეორეს და დასცემს შუბს, მაგრამ შუბს გადიღებენ მანამ, სანამ მისი წვერი მიუახლოვდება ადამიანის ტანს, შემდეგ კი აპარატს აჩერებენ და იმ პირს, რომელსაც შუბი უნდა დაეცეს, აკრავენ ტანზე ხელოვნურად შექმნილ მეორე შუბს, რომელსაც აქვს ტარი და შემდეგ მოხრილია ისე, რომ ადამიანს გვერდზე შემოეკვრის და ბოლოს კი ლაპლაბა წვეტიანი წვერი აქვს. როდესაც მოწინა-

აღმდეგეს ტანზე შემოაკრავენ ასეთ შუბს, ის სტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ადამიანი განგმირულია. ყველა ამის შემდეგ აპარატი განაგრძობს ისევ გადაღებას და მკვდარი მოწინააღმდეგე ძირს ეცემა. ორი გადაღებული მოვლენის შეერთება: პირველი—ნამდვილი შუბის მოწინააღმდეგის ტანა-



დის მისვლა და მეორე—ყალბი შუბის წვერი, ბადებს შთაბეჭდილებას, თითქოს ერთმა განგმირა მეორე. ასევე ხდება ხანჯლით ან რაიმე სხვა ცივი იარაღით ადამიანის ერთი მხარიდან მეორე მხარემდის გაგმირვის ან გაჩეხის გადაღება.

უ. მ.

გ ა მ რ ი ც ა ნ ი თ

ვ ა შ ლ ე ბ ი

კოოპერატ ვის გამგემ და მისმა თანაშემწემ გადაითვალეს რამოდენიმე ათასი ვაშლი და ტომარაში ჩაალეს.

ერთი საათის შემდეგ ტომარა რალაციისთვის დასჭირდათ და გამგემ გადასწყვიტა ვაშლები ტომრიდან თავისუფალ ყუთში გადაეწყო. მაგრამ მას ამისათვის დრო არ ჰქონდა, ის სამსახურის საქმეების გამო სხვაგან უნდა წასულიყო. მან სთხოვა თავის თანაშემწეს, გადაეწყო ვაშლი ტომრიდან ყუთში.

— ვაშლები არ ჩაჰყარო ყუთში, არამედ თვითნებულად გადააწყვე, თორემ გაფუჭდება. ამასთანავე გადაითვალე, რომ უფრო სწორი იყოს მისი რაოდენობა, — უთხრა გამგემ თანაშემწეს.

წასვლისას კიდევ გაუმეორა გამგემ თანაშემწეს: — კარგად დაიმახსოვრე, რაც გითხარი. თუ მოტყუებას მოიწადინებ, მე მაინც მიხვდებიო.

როდესაც გამგე წავიდა, მოადგილემ გადასწყვიტა ვაშლების არა თვითნებულად გადაწყობა, არამედ ერთად ჩაყრა.

— თვითნებულად გადაწყობა ზედმეტი შრომაა, — გაიფიქრა მან. — სულერთია, გამგე მაინც ვერაფერს გაიგებს: ვაშლებს ხომ არ დაეწერება.

და მართლაც ასე მოიქცა.

მაგრამ როდესაც გამგე დაბრუნდა, ის მაშინვე მიხვდა თავისი მოადგილის ცუდლუტობას.

როგორ მცხვდა ის ამას?

გამოდის 1927 წ. გამოდის

თრკვირული საშინაო დასუკათებული

ქურნალი

მოზრდითათვის

პიონერი

წელიწადი II

ქურნალი ს. ს. ს. რ. შველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების უოველი წევრის, ორგანიზაციის უოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითუული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვადღებულე-ბაა გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელის მოწერა 1927 წლისათვის

ქურნალი ღირს გადაგზავნით:

- წელიწადში — 5 მან.
- ექვს თვეს — 3 მან.
- სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

სალკე ნომერი — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 23, სახელები (მესამე სართული). „პიონერი“-ს და „ნაპადული“-ს რედაქცია.

ელსმენი — 23 — 16

რედაქტორი — სარკდაქციო კოლეგია.